



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლიანა ხაჯიშვილი

ინვესტიციები - საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის
გაუმჯობესების მექანიზმი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ბარბაქაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესების მექანიზმი, ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებები, ინვესტიციების განვითარების შესაძლო პერსპექტივები და პრიორიტეტული მიმართულებები.

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების შემოდინება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რომელიც ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას უწყობს ხელს. ამავდროულად, არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა. სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საინვესტიციო პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს არამხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, არამედ შიგა ინვესტიციების ხელშეწყობასა და განვითარებაზე. აღნიშნული მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რადგან ამ ფორმით, არამარტო ინვესტიციების წყარო იქმნება, არამედ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად მიღებული მოგების დიდი ნაწილი ქვეყანაში დარჩება.

ლიბერალური საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. საჭიროა გაანალიზდეს გადასახადების გავლენა ინვესტორებზე და ამის შემდეგ შერბილდეს საგადასახადო პოლიტიკა. სწორედ ამას ადასტურებს ჩვენ მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ში ჩატარებული კვლევა - საგადასახადო პოლიტიკას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გარემოსთვის, როცა მას ვიხილავთ ინსტიტუციურ ფაქტორებთან ერთად, ხოლო, რაც შეეხება, საგადასახადო პოლიტიკის შედარებას ინვესტიციების ე.წ კლასიკურ ფაქტორებთან (ბაზარი, რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და მაკროეკონომიკული სტაბილურობა) მისი მნიშვნელობა მცირდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკის საკითხებს აქვთ ზღვრული მნიშვნელობა ინვესტიციების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ.

Annotation

Liana khajishvili

Investments – mechanism for improving economic situation of Georgia

The Master's work reviewed investments as a mechanism for improving economic sustainability, the investment environment in the country and its peculiarities, possible perspectives for investment development and priority directions.

The inflow of direct foreign investments is one of the main sources of economic growth, which promotes the introduction of advanced technologies and modern methods of management in the country. At the same time, national interests should be no neglected. Investment policy carried by the state should be aimed not only on attracting foreign investments, but also to promote and development entire investments. This is important for the country, because in this form not only the source of investment is created, but the majority of profit earned by their projects will remain in the country.

Liberal tax system has an important role in attracting foreign investments. It is necessary to analyze the impact of taxes on investors and then mollify the tax policy. This is confirmed by me research conducted in Energo-Pro Georgia JSC - The tax policy is more important for the investment environment when it is reviewed together with institutional factors, and what about the comparison of tax policy with so-called classical factors (market, resources, geographical location and macroeconomic stability) of investment is decreasing. Therefore, we can say that in Georgia the issues of tax policy have a marginal value after consideration of the basic factors of investment.

შინაარსი	
ანოტაცია.....	2
Annotation.....	3
შინაარსი	4
შესავალი.....	5
თავი I. ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია	8
1.1 ინვესტიციების ეკონომიკური არსი და სახეები	8
1.2 ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყარო	17
თავი II. საინვესტიციო საქმიანობა და საინვესტიციო გარემო საქართველოში	29
2.1 ინვესტიციები საქართველოში და მათი შეფასების ძირითადი პრინციპები	29
2.2 საინვესტიციო პოლიტიკა და ქვეყნის საინვესტიციო გარემოს სრულყოფის გზები	43
თავი III. საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირი.....	59
3.1 საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირის ანალიზი	59
3.2 საქართველოს საგადასახადო სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა ინვესტიციებზე.....	63
დასკვნა	86
გამოყენებული ლიტერატურა.....	89

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე, რადგან მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ ეკონომიკური სუბიექტების აქტივობაზე. ეკონომიკური სუბიექტების ქვევა კი განაპირობებს ეკონომიკის ზრდასა თუ შემცირებას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებას. ქვეყნის ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფა და განვითარება საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და ეკონომიკური აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება წყვეტს ისეთ სოციალურ პრობლემებს როგორცაა: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების სისტემის სრულყოფა და სხვა. მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტიანი განთავსების ორგანიზაცია, რაც შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას.

ინვესტიციების მართვის პრობლემა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რამდენადაც, კაპიტალის მფლობელები დაინტერესებულნი არიან როგორც მისი შენარჩუნებით, ასევე მაღალი მოგების მიღებით. ინვესტიციების დაცვის ერთ-ერთი გარანტი სწორედ მისი მართვის მაღალეფექტიანობაა, რაც ამცირებს ინვესტიციების დანაკარგებთან დაკავშირებულ რისკებს.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს იმ ძირითადი რეფორმების გაანალიზებას, რომლებიც ბოლო პერიოდში განხორციელდა, რომელთა მიზანიც იყო საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ინვესტიციების, როგორც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების

მექანიზმის შესწავლა და გაანალიზება. ხოლო კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოში მოზიდული ინვესტიციების ანალიზი, არსებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საინვესტიციო საქმიანობის თეორიულ-პრაქტიკული შესწავლა. ხოლო კვლევის ობიექტია ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენება და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომებს ეკონომიკური ზრდის შესახებ. ასევე, საქართველოს კანონს საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ და სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტებს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემებს და სხვა. ნაშრომი ასევე ეყრდნობა ჩვენ მიერ სს “ენერგო-პრო ჯორჯია“-ში ჩატარებულ კვლევას, რომლის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტებიც მიმოხილულია ნაშრომში.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები. მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტიანი განთავსების ორგანიზაცია, რაც შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას. უცხოური ინვესტიციების მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა: განისაზღვროს, ეკონომიკის რომელ დარგში და რეგიონშია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მეტად საჭირო; ასევე, განისაზღვროს დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული.

ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის როლი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, თუმცა, ფართო შეღავათების შეთავაზებამდე, უნდა გაანალიზდეს გადასახადების გავლენა ინვესტორებზე და მხოლოდ ამის შემდეგ შერბილდეს საგადასახადო პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მხოლოდ ბიუჯეტის

შემოსულობების შემცირებას. სწორედ ამას ადასტურებს ჩვენ მიერ სს “ენერგო-პროჯორჯია”-ში ჩატარებული კვლევა - საგადასახადო პოლიტიკას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გარემოსთვის, როცა მას ვიხილავთ ინსტიტუციურ ფაქტორებთან ერთად, ხოლო, რაც შეეხება, საგადასახადო პოლიტიკის შედარებას ინვესტიციების ე.წ კლასიკურ ფაქტორებთან (ბაზარი, რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და მაკროეკონომიკული სტაბილურობა) მისი მნიშვნელობა მცირდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკის საკითხებს აქვთ ზღვრული მნიშვნელობა ინვესტიციების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 91 გვერდს და შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის და ექვსი ქვეთავისაგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია

1.1 ინვესტიციების ეკონომიკური არსი და სახეები

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. საქართველოს კანონის „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ თანახმად, ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები განიხილება, როგორც გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ნებისმიერი (ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაზრები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ინტელექტუალური ფასეულობები და ა.შ.) ფორმით საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ, სხვადასხვა პროფილის საწარმოში, სამეწარმეო პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში, ინოვაციურ პროექტებში მოგების მიღების მიზნით, დაბანდებად გარკვეულ ვადაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება ინვესტიციები სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები - პირდაპირი მნიშვნელობით არ წარმოადგენს ინვესტიციებს. იგი ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას. ასეთი გაგება აღმოცენდა თვით მომხმარებლებს შორის. ფინანსური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, არ არსებობს შემოსავალი დაბანდებად კაპიტალზე და შესაბამისად, არც ეს უკანასკნელი იზრდება. დაბანდებად სახსრები (ხანგრძლივი მოხმარების საქონელი ან უძრავი ქონება) თავისი არსით წარმოადგენს ფულად დანაზოგებს და არა მათ ინვესტირებას. აღნიშნული ნივთების დაგირავებიდან მიღებული ფულით შეიძლება ფასიანი ქაღალდების შეძენა. მოცემული სახეობის დანაზოგების ნაკლოვანება მდგომარეობს შემდეგში:

- დაბანდებული სახსრები არ ექვემდებარება ინფლაციისაგან დაცვას, ე.ი. ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება დანაზოგებიც;
- დაბანდებულ სახსრებს შეუძლიათ შემოსავლის მოტანა ნივთების კომერციულ საქმიანობაში გამოყენებით (მაგ. სახლის გაცემა არენდით).

ინვესტიციები ბიზნესში - მისი უმთავრესი მიზანია მოგების მიღება, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შექმნა და გამოყენება. მაშასადამე, ინვესტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სამძლავრეები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შექმნა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. საბოლოოდ, ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით და დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური“ რისკით.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს ფასიანი ქაღალდების შექმნას მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. ეკონომიკური ინვესტიციებისაგან განსხვავებით, საფინანსო ინვესტიციები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და მათი გამოყენების კონტროლს. ამიტომ, საფინანსო ინვესტორი უშუალოდ არ მონაწილეობს მართვის პროცესში და წინასწარ ეგუება რეალური აქტივების სხვისგან მართვას. როგორც წესი, იგი უბრალოდ ყიდულობს უკვე არსებულ ფასიან ქაღალდებს. საფინანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდ საკუთრების უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე თავის საკუთრების უფლებას (აძლევს ფულს) და ამის სანაცვლოდ ღებულობს უფლებას მომავალ შემოსავალზე (იძენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას).

საბაზრო ტრანსფორმაციის მეტად რთულმა და ხანგრძლივმა პროცესმა გამოიწვია ინვესტიციების სფეროში ძირეული გარდაქმნების აუცილებლობა. ამიტომ, ქვეყნის გამოყვანა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია საინვესტიციო პოტენციალის განახლებისა და განვითარების გარეშე. ნებისმიერი ბიზნესის, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა და აღმავლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რაციონალურ საინვესტიციო პოლიტიკაზე.

საინვესტიციო გარემოს ეკონომისტები განიხილავენ ისეთ გარემოდ, რომელშიც საინვესტიციო პროცესი მიმდინარეობს. საინვესტიციო პროცესის აუცილებელ პირობად გვევლინება მოგების მიღება, საკმარის პირობად კი – დადებითი სოციალური ეფექტი.

ფართო გაგებით, ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის დაფინანსებისათვის აუცილებელ დეტერმინანტს წარმოადგენს. ინვესტიცია შეიძლება განვიხილოთ მატერიალური თუ ინტელექტუალური ფასეულობების ყველა სახეობა, რომელიც შესაძლებელია ჩაიდოს ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, იქნება ეს ქვეყანაში, თუ მის საზღვრებს გარეთ. საინვესტიციო პროცესში ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი: დანახარჯები და მოსალოდნელი შედეგები, ანუ ის შემოსავლები, რასაც ინვესტორი საინვესტიციო პროექტის განხორციელების შემდეგ იღებს.

ინვესტიციური საქმიანობის განხორციელებისათვის, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე, აუცილებელია დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ინვესტიციები არსებული სახეებისა და ტიპების მიხედვით. ინვესტიციის კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნებით.

კაპიტალის დაბანდების ობიექტებისაგან დამოკიდებულების მიხედვით, გამოიყოფა რეალური და ფინანსური ინვესტიციები. რეალურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები ძირითად კაპიტალში, მატერიალურ საწარმოო მარაგებში და არამატერიალურ აქტივებში.

თავის მხრივ, ძირითად კაპიტალში დაბანდება მოიცავს კაპიტალურ დაბანდებებს და ინვესტიციებს უძრავ ქონებაში.

კაპიტალური დაბანდებები ხორციელდება ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაბანდების ფორმით ძირითად ფონდების შექმნასა და კვლავწარმოებისათვის ახალი მშენებლობის გზით, არსებულის გაფართოების, რესტრუქტურირების, ტექნიკური გადაირადების, აგრეთვე მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა შენარჩუნებისათვის.

მსოფლიოში მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად, უძრავ ქონებაში იგულისხმება მიწა, აგრეთვე ყველაფერი, რაც იმყოფება მიწის ზედაპირის ზევით და

ქვეშ - ყველა იმ ობიექტის ჩათვლით, რომელიც შეერთებულია მათთან, მიუხედავად იმისა, ბუნებრივი წარმოშობისაა, თუ შექმნილია ადამიანის მიერ.

არამატერიალურ აქტივები – მას მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, პატენტები, ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, პროგრამული პროდუქტები, მონოპოლიური უფლება, პრივილეგიები (საქმიანობის განსაზღვრულ სახეებზე ლიცენზიის ჩათვლით), ორგანიზაციული ხარჯები და ა.შ.

ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში რეალურ ინვესტიციებთან დაკავშირებულია ცნება ერთობლივი ინვესტიციები და წმინდა ინვესტიციები.

ერთობლივი ინვესტიციები წარმოადგენენ საინვესტიციო საშუალებების საერთო მოცულობას. ისინი მოიცავენ ინვესტიციებს განახლებასა და გაფართოებაზე. ძირითადი კაპიტალის გაფართოებაზე ინვესტიციების წყაროს წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის დაგროვების ფონდი. ძირითადი კაპიტალის განახლებაზე ინვესტიციების წყაროს წარმოადგენს ამორტიზაციის ანარიცხები.

წმინდა ინვესტიციები წარმოადგენენ ერთობლივი ინვესტიციების ჯამს, რომელიც შემცირებულია ამორტიზაციის ანარიცხების თანხით განსაზღვრულ პერიოდში. წმინდა ინვესტიციების მაჩვენებელთა დინამიკა მრავლისმეტყველია, თუ წმინდა ინვესტიციების თანხა უარყოფითია, ე.ი. საწარმოო პოტენციალი შემცირდა და სახელმწიფო ყიდის კაპიტალს. თუ ნულის ტოლია – მაშინ სახეზეა უძრაობა, არ შეიმჩნევა წინსვლა, ხოლო დადებითის შემთხვევაში ადგილი აქვს განვითარებად ეკონომიკას.

მეურნე სუბიექტების საციცოცხლო ციკლის პოზიციიდან გამომდინარე, მათი მოქმედების მიზნებისა და მიმართულებების მიხედვით, რეალური ინვესტიციები იყოფა საწყის ინვესტიციებად, ექსტენსიურ ინვესტიციებად და რეინვესტიციებად.

საწყისი ინვესტიციები და ნეტო ინვესტიციები წარმოადგენენ ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია საწარმოების, ობიექტების შექმნაზე.

რეინვესტიცია დაკავშირებულია არსებულ საწარმოებში ძირითადი ფონდების კვლავწარმოების პროცესთან. გაცვეთილი მოწყობილობების შეცვლა ახლით, წარმოების ეფექტიანობის ზრდა, გამოშვების სტრუქტურის შეცვლა, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და სხვა.

ფინანსური ინვესტიციების განხორციელებისას, ინვესტორი ზრდის საკუთარ კაპიტალს სხვადასხვა აქციებისა და ფასიანი ქაღალდების შეძენით და დივიდენდის მიღებით. არსებობს სპეკულაციური და გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები. სპეკულაციურის შემთხვევაში ინვესტორის მიზანია, შემოსავლის მიღება დროის კონკრეტულ პერიოდში, ხოლო გრძელვადიანის შემთხვევაში დაგეგმილია გრძელვადიანი საქმიანობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საწარმოს მმართველობაში მონაწილეობის მიღებას და სხვა.

ინვესტიციურ პროცესებში ინვესტორის მონაწილეობის ხასიათის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებად. პირდაპირ ინვესტიციებად თვლიან ინვესტორის უშუალო მონაწილეობას ობიექტებისა და ინვესტირების ინსტრუმენტების, ასევე კაპიტალის დაბანდების შერჩევაში. არაპირდაპირ ინვესტიციებად მიიჩნევენ ინვესტირებას სხვა პირების მეშვეობით, ე.ი. ინვესტიციური ან ფინანსური შუამავლების დახმარებით.

ინვესტირების პერიოდის მიხედვით, ასხვავებენ გრძელვადიან ან მოკლევადიან ინვესტიციებს. გრძელვადიანი ინვესტიციებია კაპიტალის დაბანდება სამი და მეტი წლის ვადით, საშუალოვადიანი ინვესტიციები – დაბანდებები ერთიდან სამ წლამდე და მოკლევადიანი ინვესტიციები – დაბანდებები ერთ წლამდე ვადით.

რეგიონული ნიშნის მიხედვით, გამოყოფენ შიდა (სამამულო) და გარე (საზღვარგარეთულ) ინვესტიციებს. შიდა ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის შიგნით არსებული ინვესტიციების ობიექტებში, გარე ინვესტიციები კი – ინვესტიციების ობიექტებში, რომლებიც არიან მის ფარგლებს გარეთ. ამასვე მიეკუთვნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა: საზღვარგარეთული კომპანიების აქციები, ან სხვა სახელმწიფოების ობლიგაციები.

საკუთრების ფორმის მიხედვით, ინვესტიციები იყოფიან კერძო, სახელმწიფო, უცხოურ და ერთობლივ ინვესტიციებად. კერძო ინვესტიციები წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კაპიტალის დაბანდებას საკუთრების არასახელმწიფოებრივი ფორმებით. სახელმწიფო ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდება, რომელიც ხორციელდება ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ნასესხები

საშუალებების ხარჯზე. უცხოური ინვესტიციებია არარეზიდენტების (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები) მიერ კაპიტალის დაბანდება სხვა სახელმწიფო ობიექტებში და ფინანსურ ინსტრუმენტებში. ერთობლივი ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის სუბიექტებისა და უცხოური სახელმწიფოების მიერ ერთობლივად.¹

თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად.² პირდაპირ ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის კონტროლს საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე (კომპანიებზე). საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმარტებით, ინვესტიციები ითვლება პირდაპირად, თუ უცხოელ ინვესტორს აქვს საწარმოს აქციების 25%-ზე მეტი. პორტფელური ინვესტიციებია კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთული საწარმოების აქციებში (საკონტროლო პაკეტის შეძენის გარეშე), ობლიგაციებში, უცხოური სახელმწიფოების სხვა ფასიან ქაღალდებში, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში, ევროობლიგაციებში, კაპიტალზე გადიდებული შემოსავლის მიღების მიზნით საგადასახადო შეღავათების, სავალუტო კურსის ცვლილებებისა და სხვათა ხარჯზე. ისინი არ იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. ინვესტირების ორივე მეთოდი ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის განსხვავება დაბანდების განხორციელების ხერხებშია.

მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარკვეული მიმზიდველობისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. ერთის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელს უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტანდარტების დანერგვას, ხოლო, მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორები, რომელთა როლშიც ხშირად გვევლინებიან ტრანსნაციონალური კომპანიები, აქტიურად ერევიან ქვეყნის საკანონმდებლო პროცესებში და ხშირად იგნორირებას უწევენ ქვეყნის ეკოლოგიურ თუ შრომით კანონმდებლობას.

¹ ლ. ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2007, გვ. 498-505.

² თ. გამსახურდია, ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების საკითხები, „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“, შრომების კრებული, IV ტომი, თბილისი 1999, გვ. 309-317.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლოვან მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მისი განმახორციელებელი ინვესტორი ფიქრობს მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე და ნაკლებად აინტერესებს ქვეყნის ბუნებრივი გარემო და ამასთანავე, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ამგვარი სახის საინვესტიციო პროექტებიდან მიღებული მოგებიდან ძირითადი ნაწილი გაედინება ქვეყნის გარეთ. ანუ ქვეყანაში შექმნილი დოვლათის გარკვეული ნაწილი არ რჩება სამამულო ეკონომიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვასაზრისით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში უპირატესია სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციების იგნორირება.

კიდევ ერთი საფრთხე, რაც უკავშირდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არის ის, რომ მათ ახასიათებთ ადგილობრივი მრეწველობის „გამოდევნის ეფექტი“, რომელიც ორი ფორმით იჩენს თავს: პირველი ასახავს მდგომარეობას სასაქონლო ბაზარზე, როდესაც ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალები იყენებენ საკუთარ კონკურენტულ უპირატესობებს და ავიწროებენ ადგილობრივი კომპანიების განვითარებას და მეორე, როდესაც საფინანსო ან სხვა რესურსების ბაზრებზე ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალები ცდილობენ შეისრუტონ ამ რესურსების ძირითადი ნაწილი და ადგილობრივ კომპანიებს შეუზღუდონ მათი გამოყენების შესაძლებლობა.

ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის სრულად შეზღუდვის გარდა ზოგიერთი (განსაკუთრებით – განვითარებადი) ქვეყნის მთავრობა ცდილობს, უზრუნველყოს ეროვნული წარმოების ინტერესები და გარკვეული საზღვრებით ზღუდავს უცხოური კაპიტალის მონაწილეობას ან მხოლოდ ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად საქმიანობის ნებას რთავს.

ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის გასაფართოვებლად და ინვესტიციების მოსაზიდად მთავრობის მხრიდან, მხოლოდ ფრაგმენტულად გარკვეული ღონისძიებების გატარება არ არის საკმარისი. საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს განვითარებისა და საინვესტიციო საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგია, მისი განხორციელების ყველა ბერკეტი და ინსტრუმენტი. უნდა გამოირიცხოს ქვეყნის განვითარება “ცდისა და შეცდომების” პრინციპით და იგი უნდა დაეფუძნოს ერთიან

კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელსაც დაამუშავებენ პროფესიონალები.

ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირება უპირატესად უკავშირდება ინოვაციების დანერგვას ტექნიკაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ორგანიზაციაში. ამას დიდად უწყობს ხელს კონკურენცია. წარმოებაში ინოვაციების დანერგვას მოსდევს ქვეყნის ძირითადი პოტენციალის მოდერნიზება, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მაშასადამე, ქვეყნის მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომია.

საინვესტიციო საქმიანობაში ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კერძო ბიზნესი დაინტერესებული არ არის ისეთ დარგებში პროექტების განხორციელებით, რომლებსაც მაღალი მოგება არ მოაქვთ. შესაბამისად, აუცილებელი ხდება ეკონომიკის და, უპირველეს ყოვლისა, საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდების მეშვეობით. აქედან საბაზრო ეკონომიკისათვის უფრო ადეკვატურია საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკური მეთოდები. მსგავსი რეგულირების ერთ-ერთი ბერკეტი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა.

საინვესტიციო საქმიანობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სახელმწიფო მუდმივად უნდა აუმჯობესებდეს საგადასახადო სისტემას, იცავდეს ინვესტორთა ინტერესებს, უქმნიდეს მათ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეღავათიან პირობებს და ავითარებდეს საინფორმაციო – ანალიტიკურ ცენტრებს, რომლებიც რეგულარულად გამოიძიებენ საინვესტიციო საქმიანობის რეიტინგებს და გამოაქვეყნებენ შეფასებებს.

საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის მიმართულებები შეიძლება იყოს იმ საინვესტიციო პროექტების დამუშავება, დამტკიცება და დაფინანსება, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს სხვა ქვეყნებთან ერთად, ან რომელთა დაფინანსებაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე ხდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც საფინანსო, ასევე პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე. ამასთან,

ინვესტიციების განხორციელება დასაშვებია იმ პირობებში, როდესაც მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის I პირობებში ინვესტიციების კაპიტალური ღირებულება C_0 , მისი რეალიზაციის საწყის ეტაპზე, არაუარყოფითია:

$$C_0 = \sum_{t=1}^t \frac{b_t - a_t}{1 + r^t} \geq 0$$

სადაც, t - მოქმედების დროა, b - დარიცხვები, a - გადახდები.

აღნიშნული პრინციპი მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში ინვესტიციები მისაღებია, როდესაც ყოველწლიური საშუალო შემოსავლები აჭარბებს შესაბამის დანახარჯებს.³

შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების არსებობისას უპირატესობა ეძლევა იმ ვარიანტს, როდესაც მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში გარკვეული მომენტისათვის კაპიტალური ღირებულება მინიმალურია.

ძირითადი რისკის ფაქტორები, რომლებიც დგანან ინვესტორის წინაშე კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

ეკონომიკური რისკი - რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, და ალბათობა იმისა, თუ რამდენად მოახდენს ეს ცვლილებები გავლენას ინვესტიციის მოსალოდნელ უკუგებაზე.

ტრანსფერის რისკი - როგორია კაპიტალის გატანის შესაძლებლობა ქვეყნის გარეთ.

ინფლაციის რისკი - ინფლაციის არსებული და საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრავენ გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას და გასაღების ბაზრების ფუნქციონირებას.

ადგილმდებარეობის რისკი - იმ უარყოფითი შედეგების ერთობლიობა, რომელთაც შეიძლება თავი იჩინონ რეგიონში;

სუვერენული რისკი - ძირითადად უკავშირდება საგარეო ვალების მომსახურებას და იმის საშიშროებას, რომ მთავრობა ვერ გაისტუმრებს სახელმწიფო ვალებს.

³ ლ. ხურცია, საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში, თბილისი 2006.

პოლიტიკური რისკი - დაკავშირებული ქვეყნის შიგნით მოსალოდნელ სამოქალაქო არასტაბილურობასთან.

ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობისა და სტრუქტურის მაჩვენებელი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.⁴

1.2 ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყარო

ეკონომიკური ზრდა ეს არის წარმოების რეალურ მოცულობაში ზრდა. მის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება არა მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური ბუმი, არამედ ნაციონალური წარმოებისა და მისი ფაქტორების გრძელვადიანი ზრდის ტენდენცია. ეკონომიკური ზრდა დღეს განიხილება, როგორც ქვეყნის, მსოფლიო მასშტაბით დაწინაურების ერთადერთი წყარო. მისი მიზნობრივი ფუნქცია საზოგადოების ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. იგი წარმოშობს სოციალური პროგრამების, სიღარიბის ლიკვიდაციის, მეცნიერებისა და განათლების, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის პირობებს, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიკური ზრდა თანამედროვე მაკროეკონომიკის კვლევის ცენტრალური ობიექტია და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური თემაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც კონკურენცია ყველა დონეზე განსაზღვრული ფაქტორი ხდება.

ეკონომიკური ზრდის გაზომვა ხდება წინა პერიოდთან შედარებით პროცენტებში ან ფიზიკურ მაჩვენებლებში, როცა საქმე გვაქვს ისეთ წარმოებასთან, რომელშიც მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქცია იწარმოება. რეალურად, ეკონომიკური ზრდის გაზომვა რაოდენობრივ მაჩვენებლებში შეუძლებელია, რადგან მასში საქონლის სხვადასხვა სახეობის გარდა გაითვალისწინება მომსახურების სფეროც, რომლის რაოდენობაში წარმოდგენაც ვერ მოხერხდება. პერიოდს, რომელსაც მიმდინარე პერიოდს ვადარებთ

⁴ ლ. ხურცია, საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში, თბილისი, 2006.

ეკონომიკური ზრდის გასაზომად, საბაზისო პერიოდი ეწოდება. როგორც წესი, საბაზისო პერიოდად წინა წელი გამოიყენება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იგი რამდენიმე წლის წინანდელ პერიოდსაც გამოხატავს. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში ფასების დონე დიდი ტემპებით იზრდება. ასეთ დროს, საბაზისოდ აიღება იმ წლის მონაცემები, რომელიც სტაბილურობით გამოირჩევა და რომელიც წინ უსწრებს კრიზისულ ან მძლავრი ინფლაციური პროცესების დაწყებას.

ბოლო ათწლეულებში ეკონომიკური ზრდისათვის დამახასიათებელი გახდა ზრდის ტემპების შემცირება წინა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელ პერიოდთან შედარებით. მაგალითად, მსოფლიოს მშპ-ის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა ერთ მოსახლეზე შეადგინა 50-იან წლებში 2,7%, 60-იან წლებში – 2,9%, ხოლო შემდგომ ათწლეულებში იგი მცირდებოდა: 70-იან წლებში – 1,9%, 80-იან წლებში – 1,3%, 90-იან წლებში – 1,2%. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომლითაც ბევრი ეკონომისტი წარმოქმნილ ტენდენციას ხსნის, არის რესურსების შემცირება, რომელიც ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს. ეკონომიკური რესურსები ხასიათდება ერთი საერთო თვისებით – იშვიათობით, განსაკუთრებით ეს ეხება აღუდგენელ ბუნებრივ რესურსებს. მაგალითად, ნედლი და ენერგეტიკული რესურსების შემცირება, მათზე ფასების საერთო დონის ზრდა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი.

ეკონომიური ზრდა გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე: მშპ, მეპ და ეროვნული შემოსავალი. ზოგადად იგი იზომება, როგორც ზრდის წლიური ტემპი პროცენტებში და განისაზღვრება სამი ხერხით:

- რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სახით;
- მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სახით;
- ერთ მომუშავეზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სახით.

სწორედ, ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტს წარმოადგენს ინვესტიციები. კითხვები ინვესტიციებზე და სიანვესტიციო საქმიანობებზე ყოველთვის იპყრობდა ეკონომისტების ყურადღებას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ინვესტიციები არის ბაზისი გაფართოებული კვლავწარმოებისა და თანამედროვე სამამულო ეკონომიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტისა, რაც, თავის მხრივ,

მოქმედებს ქვეყნის საციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, ინვესტიციების მოცულობის ზრდა და მათი ეფექტიანი გამოყენება არის მთავარი წინაპირობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა.

ინვესტიციები განსაზღვრულ დამოკიდებულებაში არიან ეკონომიკური ზრდის ფაქტორებზე. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, როგორ მოქმედებენ ისინი, წინასწარ განვიხილოთ მთლიანი და წმინდა ინვესტიციები.

მთლიანი ინვესტიციები გამოდიან, როგორც ინვესტიციების ერთობლივი მოცულობა, რომელიც მიმართულია წარმოების საშუალებების შესყიდვაზე, ახალ მშენებლობაზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. წმინდა ინვესტიციები ასახავენ ინვესტიციების საერთო მოცულობას, რომელიც შემცირებულია ამორტიცაციის თანხის სიდიდით.

წმინდა ინვესტიციების მაჩვენებელთა დინამიკა არის ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორი. წმინდა ინვესტიციების ზრდა გვიჩვენებს განვითარების რა ფაზაზე იმყოფება ქვეყანა. თუ მთლიანი ინვესტიციების მოცულობა აჭარბებს ამორტიცაციის ხარჯების მოცულობას, მაშინ მის კვალდაკვალ ადგილი აქვს წმინდა ინვესტიციების დადებით ზრდას, საწარმოო პოტენციალის ზრდა უზრუნველყოფს გაფართოებულ კვლავწარმოებას და ეკონომიკა იმყოფება აღმავლობის სტადიაში.

თუ მთლიანი ინვესტიციების ზრდა ნაკლებია ამორტიცაციის თანხაზე, მაშინ წმინდა ინვესტიციების მაჩვენებელი არის უარყოფითი. ინვესტიციების შემცირება იწვევს საწარმოო პოტენციალის შემცირებას და ამავდროულად ეკონომიკის ვარდნას.

წმინდა ინვესტიციების მოცულობის ცვლილება იწვევს შემოსავლების ცვლილებას, რომელიც იმავე მიმართულებით ხდება, მაგრამ უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე საწყის საინვესტიციო დანახარჯებში ძვრა. ეს ეფექტი იმიტომ წარმოიქმნება, რომ ეკონომიკაში განმეორებადი ხარჯების და შემოსავლების ნაკადების პირობებში, ერთი სუბიექტის ხარჯები სხვა სუბიექტის შემოსავლების სახით გამოდის, შემოსავლის ნებისმიერი ცვლილება კი მოხმარებასა და დანახარჯებს შორის განსაზღვრული შეფარდების დროს, მის ფარგლებში იწვევს მოხმარებისა და დანახარჯების შესაბამის ცვლილებას, ისე რომ ინვესტიციების პირველადი რყევები იწვევენ მრავალჯერად, თუმცა, ყოველი შემდეგი

ციკლის დროს კლებადი შემოსავლის ცვლილებას (მულტიპლიკატორის ეფექტი, აღწერილი ჯ. მ. კეინზის მიერ⁵).

ამდენად, ინვესტიციების ზრდა იწვევს წარმოების მთლიანი მოცულობის დონისა და შემოსავლების ზრდას. გამოყენების ბოლო სტადიაზე იყოფა მოხმარებად და დაგროვებად ნაწილებად. ნაწილი, რომელიც მიმართულია მოხმარებაზე (მაგ. საქონლის შექმნა), იქცევა ამ პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლების წყაროდ. თავის მხრივ, მიღებული შემოსავლები კვლავ იყოფა მოხმარებად და დაგროვებად და ა.შ. საბოლოო ჯამში, ინვესტიციების პირველადი ზრდა იწვევს შემოსავლების მრავალჯერად ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ მულტიპლიკატორის ეფექტი უკუმიმართულებითაც მოქმედებს. ინვესტიციური დანახარჯების უმნიშვნელო შემცირების გამო შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება შეიძლება მოხდეს. ამიტომ ეკონომიკის სტაბილური და დაბალანსებული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა მულტიპლიკაციის კოეფიციენტის გარკვეული მნიშვნელობის შენარჩუნება, საინვესტიო პროცესის შეუფერხებელი განხორციელებისთვის პირობების შექმნა.

ქვეყანაში კაპიტალის მიწოდებას და მასზე მოთხოვნას მრავალ მაკროეკონომიკურ პარამეტრზე აქვს გავლენა. მათ შორის არის სავალუტო კურსიც. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში ინვესტიციების როლი სტაბილური სავალუტო კურსის შესანარჩუნებლად საკმაოდ დიდია.

განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილს (ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის და ბუნებრივი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნების გარდა) მიმდინარე ანგარიში დეფიციტური აქვს, რადგან ასეთ ქვეყნებში მოხმარება ყოველთვის აღემატება მოსახლეობის მიერ დაგროვილ კაპიტალს, ე.ი. იმპორტი ჭარბობს ექსპორტს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ ბაზარზე იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე (საქართველოში ეს ვალუტა ძირითადად აშშ დოლარია) და მისი კურსი ლართან მიმართებაში იზრდება.

შესაბამისად, ლარის სავალუტო კურსის სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების შემოდინება. გრძელვადიან პერსპექტივაში

⁵ Роль инвестиций в экономике - <http://banknt.ru/?id=346>

უცხოური ინვესტიციები აუმჯობესებს ქვეყნის მიმდინარე ანგარიშს და ხელს უწყობს ადგილობრივი კაპიტალის შექმნას (გაზრდილი ეკონომიკისა და მოხმარების ზრდის ხარჯზე). ამის დამადასტურებლად გამოდგება ლარის კურსის მოძრაობის ტენდენცია 2005-2008 წლებში საქართველოს მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის ტემპმა 10%-ს გადააჭარბა, ლარის კურსი თითქმის 35%-ით გამყარდა. ინფლაცია (ფასების ზრდა) გამოიწვია ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ და მონეტარული ბაზის გაფართოებამ (ფულის მოძრაობის სისწრაფის და საბანკო სესხების ზრდის ჩათვლით), ხოლო უცხოური ინვესტიციების მკვეთრმა ზრდამ (ამ წლებში უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 20%-ს მიაღწია) გამოიწვია ლარის კურსის გამყარება.

განვიხილავთ რა, ინვესტიციების როლს ეკონომიკაში, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ დანაზოგებზე, ვინაიდან დანაზოგები და ინვესტიციები ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიებს წარმოადგენენ. დანაზოგები პოტენციური ინვესტიციებია, ინვესტიციები კი – რეალიზებული დანაზოგები, რომლებიც ეკონომიკური ან სოციალური ეფექტის მიღებისკენაა მიმართული. რაც უფრო სასიკეთოა ეკონომიკური და სოციალური პირობები, მით უფრო მაღალია დაბანდებათა უსაფრთხოების ხარისხი და მეტი დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საკმაოდ საიმედო პირობებია შექმნილი დანაზოგების უსაფრთხოებისთვის, პრაქტიკულად მთელი დანაზოგები ინვესტიციებად იქცევა ხოლმე. ნაღდი ფულადი ბრუნვის ელექტრონული ბარათებით შეცვლის პირობებში მიმდინარე მოხმარებისათვის განკუთვნილი ფულიც კი საფინანსო სისტემის მეშვეობით საინვესტიციო პროცესშია ჩართული.

სხვაგვარადაა საქმე არასტაბილურ ვითარებაში. აქ მაღალი ინფლაციის პირობებში მოსახლეობა და საწარმოებიც კი ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გადააქციონ თავისი ფული საქონლად ან უცხოურ ვალუტად. ეს იმას იწვევს, რომ დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვარდნილია საინვესტიციო პროცესიდან.

მაკროდონეზე საინვესტიციო პროცესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობისა და იურიდიული პირების დანაზოგები და სახელმწიფო შემოსავლების ნაწილი (რომელიც მოხმარებისთვის არაა გამოყენებული) საწარმოო მოწყობილობად, შენობა-ნაგებობად, ტექნოლოგიად, მასალებად და ენერჯიად გადაიქცევა (ე.ი.

ინვესტიციურ საქონლად), რის გამოც ხდება წარმოების გაფართოება საზოგადოების მასშტაბით. წამოების გადიდება ზრდის დანაზოგების შესაძლებლობას, რომლებიც პოტენციურ ინვესტიციებად გვევლინება, ინვესტიციებად ქცეული დანაზოგები წარმოების გაფართოებას იწვევენ და ა.შ. ინვესტიციის პროცესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია გამოხატავს იმ ურთიერთობებს, რომელიც მის მონაწილეებს შორის ჩნდება წარმოების გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

ადამიანისეული კაპიტალი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს დროში, მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი უფრო სწრაფად ინერგება და ვითარდება ცხოვრებაში. ადამიანი ყოველთვის არის უფრო მეტი, ვიდრე ტექნიკა, რადგან სწორედ ის არის მისი უშუალო შემქმნელი. მხოლოდ გამოცდილი, მაღალკვალიფიცირებული სამუშაო ძალა არის მაღალტექნოლოგიური პროცესების მართვის საშუალება.

ძირითადი გზა „ადამიანისეული კაპიტალის“ ზრდისა, არის მასში ინვესტიციების განხორციელება. ინვესტიციები „ადამიანისეულ კაპიტალში“ ეს არის ადამიანის მნიშვნელოვანი თვისებების განვითარება, ინვესტიციების ჩადება მის ცოდნასა და უნარ – ჩვევებში. დაბანდებები „ადამიანისეულ კაპიტალში“, რომელსაც მივყავართ ადამიანისეული შრომის მნიშვნელოვნების ზრდამდე, არის ეკონომიკის გარდაქმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი. „ადამიანისეულ კაპიტალში“ გამოყოფენ შემდეგი სახის ინვესტიციებს:

- დანახარჯები განათლებაზე;
- დანახარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე (სამედიცინო მომსახურება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება);
- დანახარჯები შრომის ბაზრის მობილურობაზე (ნაკლებ მწარმოებლური ადგილებიდან მაღალ მწარმოებლურ ადგილებში შესაძლო მიგრაციის დონე);
- დანახარჯები ბავშვების შობადობასა და აღზრდაზე.

ადამიანისეულ კაპიტალში დამბანდებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო (ხელისუფლება) სახელმწიფო საზოგადოებრივი ფონდები და ორგანიზაციები,

საერთაშორისო ფონდები და ორგანიზაციები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები.⁶

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ნებისმიერი რეგიონის წარმატებული და მდგრადი განვითარება დამოკიდებულია „ადამიანისეულ კაპიტალზე“, ამიტომ აუცილებელია თანამიმდევრული პოლიტიკა, ადამიანისეული რესურსების განვითარების დარგში და დამაბალანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელება „ადამიანისეულ კაპიტალში“.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ინოვაციური საქმიანობები არის ეკონომიკური ზრდის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი. საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად მეტად თავისებური ვითარებაა შექმნილი. ინოვაციის ბაზარი, ჯერ კიდევ, არ არის ჩამოყალიბებული, თანაც მომხმარებელი ინფორმირებული არაა კომერციალიზაციისთვის არსებული სიახლეების შესახებ და მზად არ არის მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ, სასწრაფოდაა მისაღები და განსახორციელებელი სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევს ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს და დააჩქარებს ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესს. არაორდინალურია დაგროვების სფეროში შექმნილი სიტუაციაც. კერძოდ, ეკონომიკის სავაჭრო, საბანკო და სადაზღვევო სექტორებში აკუმულირებული კაპიტალის დაბანდება არ ხდება ინოვაციურ სფეროებში. აუცილებელია ყველა საფუძველი მოვამზადოთ იმისთვის, რომ უმოკლეს ვადაში კაპიტალი ინოვაციური სფეროს დაფინანსების სერიოზულ წყაროდ იქცეს. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს რამდენიმე წამყვანი მიმართულება, რომელიც ეკონომიკური ზრდის შესახებ თეორიებს ავითარებს. ეს თეორიები ამავე დროს წარმოადგენენ ერთმანეთის “კონკურენტებს”⁷.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის მოდელები შეიძლება დავეყოს სამ ჯგუფად:

1. პოსტკეინზიანური ზრდის მოდელი, რომელშიც ძირითადია დანაზოგების და ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე;

⁶ Инвестиции в человеческий капита- важнейший фактор экономического роста http://www.inspp.ru/index.php?option=com_content&task=view&id=54&Itemid=33.

⁷ <http://homepage.newschool.edu/het/>.

2. ნეოკლასიკური ზრდის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე;
3. ენდოგენური ზრდის მოდელი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადამიან კაპიტალის აკუმულირებას.

განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიები. მათში იგულისხმება, რომ საბაზრო ეკონომიკა თავისი ბუნებით სტაბილურია და მიმართულია სრული დასაქმებისაკენ, შესაბამისად ავტომატურად მიიღწევა გრძელვადიანი წონასწორობა. ამ თეორიებში ნაგულისხმევაია, რომ “თვითრეგულირების” ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მოქნილი ფასები, ხელფასები და საპროცენტო განაკვეთები. ამავე დროს ითვლება, რომ საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში და სახელმწიფოს ჩარევამ შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკის არასტაბილურობა, ამიტომ მაკროეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს პასიური. ანუ საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკას მოჰყვება განდევნის ეფექტი და ამით ხელი შეეწყობა ინფლაციის დონის მომატებას.

ნეოკლასიკური მიმართულების ყველაზე თანამედროვე კონცეფციებში ფასები და ხელფასები განიხილება, როგორც საკმაოდ მოქნილი იმისთვის, რომ საბაზრო მექანიზმმა შეძლოს ავტომატურად სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ხელი შეუწყოს ეკონომიკის წონასწორობის მდგომარეობაში ყოფნას.

კლასიკური თეორიის მომხრეები ეკონომიკური ზრდის რეგულირებას განიხილავენ მიწოდების ფაქტორების თვალსაზრისით. ე.ი. ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის საჭიროა, პირველ რიგში გაიზარდოს ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალი. ამისთვის შემოღებულია გადასახადების სხვადასხვა მანიპულაციები, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადასახადების შემცირება, რის შედეგადაც მოხდება დანაზოგებისა და ინვესტიციების სტიმულირება.

კეინზიანელობას საფუძველი ჩაუყარა მე-20 საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომლის თეორიაც განიმარტა მის ნაშრომში - “დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია”.⁸

⁸ ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2005.

თავისუფალი კონკურენციის ბატონობის პერიოდში ბატონობდა ჟ. ბ. სეის დოქტრინა – *Laissez Faire*, რომლის თანახმად საქონლის მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მასზე მოთხოვნას. ამ პირობებში პირველ პლანზე იყო წამოწეული წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორები. ამ კონცეფციის მომხრეები ეკონომიკური ზრდის წყაროდ მიიჩნევდნენ დანაზოგების გადიდებას.

ჟ. ბ. სეის თეორიის კრიტიკოსის როლში გამოვიდა ჯ. კეინზი, მან კაპიტალისტური წარმოების მთავარ პრობლემად მიიჩნია “ეფექტიანი მოთხოვნის” პრობლემა.

ეკონომიკის ზრდის კეინზიანურ და ნეოკეინზიანურ თეორიებში საბაზრო ეკონომიკას განიხილავენ, როგორც არასტაბილურს თავისი ბუნებით. ეს თეორიები გამიზნულია ეკონომიკური ზრდის რეგულირებისათვის, არასტაბილურობისა და უმუშევრობის თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის არასტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასების არაელასტიურობასთან, ხელფასის “სიხისტესთან” და შრომის ბაზრის არასაკმარის მოქნილობასთან.

კეინზიანურ და ნეოკეინზიანურ თეორიებში საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკა განიხილება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება, რადგან სახელმწიფო გასავლები უშუალო ზეგავლენას ახდენენ ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე. ამ თეორიების თანახმად გადასახადები საკმაოდ მოქმედებენ მოხმარებასა და ინვესტიციებზე.

ამრიგად, როგორც ეკონომიკის ზრდის რეგულირების კლასიკური მიმართულების წარმომადგენლები (ფრიდმანის გამოკლებით), ასევე კეინზიანური მიმართულების წარმომადგენლები აღიარებენ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოქნილობას ეკონომიკის ზრდის სტაბილიზაციისა და სტიმულირების მიზნით.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მიმართ სიტუაცია სხვანაირია: კლასიკური მიმართულება უარყოფს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის აუცილებლობას მაშინ, როცა კეინზიანური მიმართულება ეკონომიკის ზრდის რეგულირებაში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას ანიჭებს გადამწყვეტ როლს.

თეორიული მიმართულებების თანახმად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია მათი ადეკვატური მოდელები.

ყველაზე ცნობილ ეკონომიკური ზრდის მოდელებს წარმოადგენენ სოლოუსა და ჰაროდ-დომარის მოდელები. დანარჩენი მოდელები კი არიან ამ ორი მოდელის მოდიფიკაციები.

ჰაროდ-დომარის მოდელში, რომელიც შეესაბამება ნეოკეინზიანურ მიმართულებას, ძირითადი ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ სტაბილიზაციას და უმუშევრობას. ამ მოდელში ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს კაპიტალის დაგროვება. ეკონომიკური ზრდის ტემპი ინვესტიციების პროპორციულია, ხოლო ნაზრდის ტემპი დროში მუდმივი.

ჰაროდი გამოდის ორი წანამდვრიდან: პირველი - დაგროვება წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის მუდმივ წილს. ის იზრდება იმ ტემპით, რომელიც უტოლდება შემოსავლების ზრდის ტემპს. მეორე - განხორციელებული კაპიტალდაბანდების მოცულობა არის შემოსავლების ნამატის ან მოთხოვნის ფუნქცია ორ პერიოდს შორის.

ზრდის განსხვავებული ნორმებისათვის ჰაროდი მიიჩნევს შემდეგ მდგომარეობას: თავისუფალი მეწარმეობის სისტემა ეფექტურად იმოქმედებს, თუ შემოსავლები დაჩქარებული ტემპით გაიზრდება. ინვესტიციები უნდა ასწრებდნენ სამომხმარებლო მოთხოვნის დინამიკას. ამ მოდელის მიხედვით, წონასწორობა საკმოდ მერყევია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო ჩარევა საფინანსო პოლიტიკის მეშვეობით.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეროვნული შემოსავლის მატება არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ცვალებადი სიდიდის, კაპიტალის, დაგროვების ფუნქციას (როგორც ეს ფიქსირებულია ჰაროდ-დომარის მოდელებში).

ნეოკლასიკური თვალსაზრისით ეროვნული შემოსავლის მატება დამოკიდებულია წარმოების ძირითად ფაქტორებზე. ისინი განსხვავებულ აქცენტირებას ახდენენ წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა-მიწოდების ავტომატურ წონასწორობაში მოყვანის შესაძლებლობებზე. მოცემულ შემთხვევაში ავტომატური წონასწორობის ერთადერთ ხელშემწყობ პირობად განიხილება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მიმართული პროცენტის ნორმის მოწესრიგებისაკენ.

ნეოკლასიკური მოდელების ანალიტიკურ ინსტრუმენტებს შორის მთავარი ადგილი საწარმოო ფუნქციას ეკუთვნის. 20-იანი წლების ბოლოს ეკონომისტი პ.დუგლასი

მათემატიკოს ჩ.კობის დახმარებით შეეცადა მოეძებნა ფუნქციური დამოკიდებულება პროდუქტის, შრომის და კაპიტალის რაოდენობას შორის, ამ მიზნით შერჩეულ იქნა ფუნქცია:

$$Y=Ak^{\alpha}L^{\beta}$$

რომლის მიხედვითაც პროდუქციის ფიზიკური მოცულობა (Y) დამოკიდებულია წარმოების ორ ფაქტორზე: კაპიტალის დანახარჯზე (K) და შრომით დანახარჯებზე.

კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციის საფუძველზე ჩამოაყალიბა თავისი მაკროეკონომიკური ზრდის კონცეფცია ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა რ. სოლოუმ.⁹ მან სცადა ეჩვენებინა თუ როგორ იცვლება და ვითარდება წარმოების ფუნქცია ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით. მის მოდელში ძირითადი აქცენტი კეთდება შრომისა და კაპიტალის ურთიერთ ჩანაცვლების სიმარტივეზე. ამის შედეგად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი ეკონომიკური ზრდა და გამოირიცხოს არასტაბილურობის პრობლემა. ე.ი. სოლოუს მოდელში კაპიტალის დაგროვება უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას.

ამრიგად, სოლოუს მოდელი ჰაროდ-დომრის მოდელისაგან იმით განსხვავდება, რომ ითვალისწინებს კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლისა და აღდგენის აუცილებლობას. მასში დაშვებულია შრომისა და კაპიტალის ურთიერთქმედება და ურთიერთ ჩანაცვლება. სოლოუ მივიდა თეორიულ დასკვნამდე, რომ დანაზოგები და ინვესტიციები არ წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორებს. ძირითად ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში, წარმოადგენს ტექნოლოგიური პროგრესი.

უნდა აღინიშნოს სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელის ნაკლოვანებებიც, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- მოდელი იძლევა საშუალებას განისაზღვროს და გაანალიზდეს მდგრადი წონასწორობის მდგომარეობები, რომლებიც მიიღწევა, მხოლოდ გრძელვადიან

⁹ დ. სიხარულიძე, უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში, დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2005.

პერსპექტივაში. მაგრამ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ახლო პერსპექტივები;

- დანაზოგების ნორმა, კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლის ნორმა, მომუშავეთა რაოდენობის ზრდის ტემპი და შრომის დამზოგავი ტექნოლოგიური პროგრესი ითვლება მუდმივად: მათი სიდიდეები მოიცემა ეგზოგანურად, თუმცა უკეთესი იქნებოდა ამ პარამეტრების მნიშვნელობების ენდოგენური განსაზღვრა, რადგან ისინი დაკავშირებულია მოდელის სხვა პარამეტრებთან;
- მოდელში არ არის წარმოდგენილი ეკონომიკური ზრდის ყველა ფაქტორი, რომლებზედაც შესაძლოა ზეგავლენის მოხდენა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებით. ასეთებია განათლება, სოციალური სტაბილურობა, ჯანდაცვა, სამხედრო ხარჯები და ა.შ. ამის გარდა მოდელი არ ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ ზრდას: ენერგეტიკული რესურსები, ეკოლოგიური რესურსები და სხვა.

თავი II. საინვესტიციო საქმიანობა და საინვესტიციო გარემო საქართველოში

2.1 ინვესტიციები საქართველოში და მათი შეფასების ძირითადი პრინციპები

ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს, როგორც რაოდენობრივი (ეფექტიანობის მაჩვენებლები), ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლით. ინვესტიციების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს პროგნოზული ფასების მეშვეობით, ასევე უნდა გავითვალისწინოთ ინფლაცია და ვალუტა, რომელშიც ხორციელდება ინვესტიციები.

ზოგადად, ეფექტიანობა ნიშნავს უმცირესი დანახარჯებით საუკეთესო შედეგების მიღწევას. ფინანსურად რეალიზებული ინვესტიცია, ამავე დროს, არაეფექტური შეიძლება იყოს ინვესტორისათვის.

ეფექტი – კატეგორია, რომელიც ახასიათებს დროის განსაზღვრულ პერიოდში ინვესტიციების შედეგების გადამეტებას დანახარჯებზე.

ალტერნატიული პროექტების შესწავლა და მათგან უკეთესი პროექტის არჩევა წარმოებს სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენებით. მათ შორისაა:

- დაფინანსების მოთხოვნა;
- წმინდა შემოსავალი;
- წმინდა დისკონტური (დაყვანილი) შემოსავალი (ეფექტი);
- ინვესტიციის შემოსავლიანობის ინდექსი;
- დისკონტური ინვესტიციის შემოსავლიანობის ინდექსი;
- შემოსავლიანობის შიდა ნორმა;
- ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა.

საინვესტიციო საქმიანობაზე უამრავი ფაქტორი ზემოქმედებს, მათ შორის აღსანიშნავია: დანაზოგების ფორმირების პროცესების ინტენსივობა ქვეყნის ეკონომიკაში, დანაზოგების გამოყენების დონე საინვესტიციო პროცესში, პროცენტის განაკვეთი და მისი დინამიკა, ტექნოლოგიური პროცესები, ინფლაციის დონე, ეკონომიკური დინამიკის ციკლურობა და ქვეყნის ინვესტიციური გარემო.

საწარმოს ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ საკუთარი ძალებით არ შეუძლია. ის ინვესტირებას ახორციელებს ასევე სხვადასხვა მეურნე სუბიექტებისა და ოჯახურ მეურნეობათა დანაზოგების ხარჯზე. თუმცა, საწარმოს უნარი, მოიზიდოს სასესხო კაპიტალი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის შიგნით არსებულ საინვესტიციო რესურსების პოტენციალზე. საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბება კი, თავის მხრივ, უკავშირდება საზოგადოების წმინდა შემოსავლის განაწილებას მოხმარებასა და დაგროვებას შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მოხმარებასა და დაზოგვაზე წმინდა შემოსავლის განაწილება მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. თუმცა, ძირითადად მისი განმსაზღვრელი შემოსავლის დონეა. როგორც წესი, დანაზოგების სიდიდე ყველაზე მეტია იმ შინამეურნეობებში, სადაც საშუალო სულადობრივი შემოსავალი ყველაზე მაღალია. როდესაც საშუალო სულადობრივი შემოსავალი მცირდება დანაზოგებაც იკლებს და შემოსავლის გარკვეული დონის პირობებში ნულოვანი ხდება. საშუალო სულადობრივი შემოსავლის დაბალი დონის პირობებში შინამეურნეობების დანაზოგებს უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შინამეურნეობები იძულებულნი არიან იმაზე მეტი დახარჯონ, ვიდრე გამოიმუშავენ. ამ სხვაობას ისინი სესხის აღებით ან ადრე დაგროვილი კაპიტალის დახარჯვით ფარავენ.

განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია დანაზოგების დაბალი დონე, რაც, რა თქმა უნდა, დაბალი წმინდა შემოსავლებით არის განპირობებული. ინვესტიციებისათვის რესურსების არ არსებობა კი იწვევს ეკონომიკის ერთ ადგილას გაყინვას. განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს იზიარებს საქართველოც. საქართველოში როგორც სამთავრობო, ასევე კერძო დანაზოგებაც ძალიან დაბალია.

საპროცენტო განაკვეთი უდიდეს როლს თამაშობს ინვესტიციების განხორციელების პროცესში, რადგან ინვესტორისთვის მისი საქმიანობის უმთავრესი ფაქტორი მოგების მიღებაა. საქართველოში სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 2.5-ჯერ მეტია. ეს, რა თქმა უნდა, ნეგატიური ფაქტორია. ამ საპროცენტო განაკვეთებით საბანკო სექტორი ეკონომიკის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

დღეისათვის, როცა გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ურთიერთობებიც, კონკურენცია ახალ ეტაპზე გადასული. შესაბამისად, მთავრობები ეძებენ ახალ გზებს, რომელთა საშუალებითაც ზემოთ ხსენებული მიზნის მიღწევა ეფექტიანად იქნება შესაძლებელი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული კონკურენციიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, და აგრეთვე, უცხოური კაპიტალის მუდმივად შეზღუდული მოცულობის გათვალისწინებით, საქართველოსათვის პრობლემად რჩება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისთვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარსდგნენ. ღია ეკონომიკურმა ურთიერთობებმა და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შექმნა ახალი გამოწვევები ეკონომიკური განვითარებისათვის. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შესაძლებელია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, ქვეყნები ცდილობენ შექმნან უკეთესი პირობები, რათა მოიზიდონ ტრანსნაციონალური ინვესტიციები.

ტექნოლოგიურ სიახლეებს განვითარებად ქვეყნებში ძირითადად ტრანსნაციონალური კომპანიები ნერგავენ, რომლებიც, ამავე დროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზარზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ხელს უწყობს:

- ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც კონკურენციის მეშვეობით ზრდის პროდუქციის ხარისხს;

- კადრების მართვას, რაც ამაღლებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას;
- მოგების ზრდას, რომელიც იწვევს საგადასახადო შემოსავლების მატებას.
- დასაქმების გაუმჯობესებას;
- ეკონომიკური ზრდას და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ შექმნილი ღირებულებიდან. თუმცა სარგებლის მიღება განსაზღვრული დონით დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკასა და ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიაზე. რაც უფრო მცირეა კავშირი ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის, მით უფრო რთულდება იმის გარკვევა, კონკრეტულად რა სჭირდება მიმღებ ქვეყანას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. ამგვარად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, მაგრამ მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე განსხვავებულია და დამოკიდებულია არა მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციაზე, არამედ მიმღები ქვეყნის მახასიათებელზე.¹⁰

მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უცხოური ინვესტიცია თითქმის ყველა ქვეყანაში დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, მიუხედავად დადებითი შედეგებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს ნეგატიური შედეგის მოტანაც შეუძლია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად: დიდი ინვესტიციის ხარჯზე შესაძლოა დაზარალდეს მცირე და საშუალო ბიზნესი.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, ფინანსური ლიბერალიზაციის დონე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, წარმოების ფაქტორების ფასები, ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო,

¹⁰ დ.სიხარულიძე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკა და ბიზნესი #6, 2012, გვ. 61-76.

საგადასახადო სისტემის სიმარტივე და გამჭვირვალობა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა.


საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. ის უცხოელ ინვესტორებს მრავალ უპირატესობას სთავაზობს, კერძოდ, ქვეყანას გააჩნია გასასვლელი მსოფლიო ბაზარზე როგორც საზღვაო, ისე საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და ასევე მილსადენი ტრანსპორტითაც. საქართველოს გააჩნია ბევრი ისეთი რესურსი, რომელიც აუთვისებელია და მათი ადგილობრივი ძალებით ექსპლუატაციაში ჩაშვება სათანადო სახსრების უქონლობის გამო ვერ ხერხდება. ამიტომ უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ მეტად სახარბიელო შესაძლებლობები, რათა საქართველოში არსებული რესურსები სათავისოდ გამოიყენონ და შესაბამისი სარგებელიც მიიღონ.

საქართველოს საინვესტიციო გარემო განსაკუთრებით გამოცოცხლება 2003 წლიდან გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოში ინვესტიციების ხელშემწყობი ფაქტორებია: დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი, ბიზნესის მხარდამჭერი მთავრობა; სტაბილური საბანკო სექტორი; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა. საქართველოს კონკურენტული სისუსტეები, ბაზრის ზომა და გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ჯანსაღი ბიზნეს-კლიმატით უნდა დაბალანსდეს.

2006-2008 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილურობით ხასიათდებოდა და საშუალოდ 1334.808 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და ასევე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით, 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად შემცირდა და შეადგინა 664.2 მლნ აშშ დოლარი. 2010 წლიდან შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, 2014 წელს კი იმ დროისათვის ყველაზე მაღალ მაჩვენებელი, 1817.7 მლნ აშშ დოლარი, დაფიქსირდა. 2015 და 2016 წელს 2014 წელთან შედარებით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა, თუმცა, 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა 1894,5 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა. 2018 წელს ინვესტიციების

რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა და წინასწარი მონაცემებით 1232,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რამდენიმე წლის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გასული წლების ინვესტიციების მაჩვენებლები დააზუსტა და გამოვიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 1.9 მილიარდი დოლარი 2017 წელს შემოვიდა. მანამდე მაქსიმუმი 2007 წელს ფიქსირდებოდა – 1.8 მილიარდი დოლარი.

დიაგრამა #2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2019* წწ (მლნ აშშ დოლარი)



**წინასწარი მონაცემები*


წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღნიშნული მონაცემები არის ნომინალში გამოსახული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნომინალურ რიცხვებში გამოსახული ინვესტიციების მოცულობა სრულად არ გვეუბნება, ბევრია თუ ცოტა. მაგალითად, საქართველოსთვის 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ძალიან ბევრია, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, მაგალითად, გერმანიისთვის კი თითქმის არაფერია – ეკონომიკურ კრიზისს ვერ გადაურჩება. ამიტომ ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ უნდა ვნახოთ. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი ინვესტიცია სჭირდება ზრდისა და

განვითარებისთვის. ამ მხრივ, 2007 წელი ყველაზე წარმატებული იყო პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 17.2% შეადგინა, ხოლო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2009 წელს გვექონდა, მშპ-ის 6.2%. 2009 წელს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის იყო და ინვესტიციები მკვეთრად დაეცა, რთული იყო კრიზისის მომდევნო წლებიც.

2018 წელს არც საქართველოში, არც ჩვენს რეგიონში და მით უმეტეს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი არ ყოფილა, მაგრამ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მშპ-ის 7.6%-მდე შემცირდა, როცა 2014-2017 წლებში საშუალოდ 11.6% იყო. ბოლო 5 წელია, ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდას ლარის კურსის დაცემა უწყობს ხელს, რადგან დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ინვესტიციების მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა. მაგალითად, 2013 წლის ლარის დოლარის მიმართ გაცვლითი კურსით – 1.67-ით, 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მშპ-ის მიმართ 5% იქნებოდა. უფრო ნაკლები, ვიდრე 2009 წელს.

დიაგრამა #2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-სთან მიმართებაში 2006-2018 წწ




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის I კვარტალში წინასწარი მონაცემებით 281.1 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო 7 წლის განმავლობაში მინიმალურია. ეს ხდება იმ დროს, როდესაც განვითარებადი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის უცხოურ ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს. უცხოურ ინვესტიციას ფულთან და სამუშაო ადგილებთან ერთად შემოაქვს ცოდნა, გამოცდილება და ტექნოლოგიები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის

ზრდას. ამასთან, უცხოური ინვესტიციები ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს.

დიაგრამა #2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013-2019* წწ I კვარტალი
(მლნ აშშ დოლარი)




**წინასწარი მონაცემები*

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მთავრობის წევრებმა ინვესტიციების შემცირების ძირითად მიზეზებად მაგისტრალური გაზსადენის, “შაჰდენიზ 2”-ის მშენებლობის დასრულება და რამდენიმე უცხოური საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლა დაასახელეს. გაზსადენის მშენებლობა ტრანსპორტის სექტორს მიეკუთვნება და სწორედ ამან გამოიწვია ტრანსპორტის სექტორის 263 მლნ აშშ დოლარიანი კლება. გაზსადენის პროექტში ინვესტორები თურქეთი, აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო იყო, რადგან გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანის გაზს თურქეთს მიაწვდის, “BP” აშენებს. 2014-2017 წლებში ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თუმცა, როდესაც ამ პროექტის გამო 2014-2017 წლებში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, საქართველოს მთავრობის წევრები ინვესტიციების მატებაზე საუბრისას “შაჰდენიზზე” არ მიაწინებდნენ და სხვა გარემოებებით ხსნიდნენ მატებას.

დიაგრამა #2.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2006-2018* წწ (მლნ აშშ დოლარი)



**წინასწარი მონაცემები*

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება რეინვესტირებას, მისი მოცულობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირდაპირპროპორციული არ არის. საშუალოდ განხორციელებული ინვესტიციების 4.9%-ის რეინვესტირება ხდება, მაქსიმალურ ნიშნულს 2015 წელს აღწევს დაახლოებით 10%, ხოლო მინიმალური მაჩვენებელია 2.2%, რომელიც წინასწარი მონაცემებით 2018 წელს დაფიქსირდა .

ქვეყნების მიხედვით, ინვესტიციები 2018 წელს ყველაზე მეტად თურქეთიდან შემცირდა – 299 მლნ დოლარით. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 225 მლნ დოლარით და ნიდერლანდები 189 მლნ დოლარით. მნიშვნელოვანი კლება იყო კვიპროსიდან და ჩეხეთიდანაც. ზრდით კი გერმანია იყო გამორჩეული, საიდანაც 2018 წელს 137 მლნ დოლარით მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს. 40 მლნ დოლარით გაიზარდა ლატვიიდან და 27-27 მლნ დოლარით მალტიდან და სამხრეთ კორეიდან.


მიუხედავად მნიშვნელოვანი კლებისა, 2018 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანიდან შემოვიდა – 240 მლნ დოლარი. მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფოა 204 მლნ დოლარით. 100 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან და აშშ-დან.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული 2018 წლის წინასწარი მონაცემებით ასე გამოიყურება:

1. აზერბაიჯანი - 240,007.1 ათასი აშშ დოლარი, კლება წინა წელთან შედარებით 51.6%;
2. გაერთიანებული სამეფო - 203,670.8 ათასი აშშ დოლარი, კლება წინა წელთან შედარებით 17.67%;
3. ნიდერლანდები - 167,854.2 ათასი აშშ დოლარი, კლება წინა წელთან შედარებით 52.94%;
4. აშშ - 103,673.4 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 30.06%;
5. პანამა - 74,735.1 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 41.5%;
6. ჩეხეთი - 72,338.5 ათასი აშშ დოლარი, კლება წინა წელთან შედარებით 49.24%;
7. ჩინეთი - 65,400.8 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 62.1%.
8. კორეა - 63,237.7 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 74.5%;
9. რუსეთი - 60,063.4 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 37.43%.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2018 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 46.6% შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა #2.5.

დიაგრამა #2.5 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018* წელს (%)




**წინასწარი მონაცემები*

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში მოხვდა ოფშორული ზონაც (პანამა), ქართული ბიზნესები ოფშორებს ხშირად რეინვესტირებისთვის იყენებენ. მსხვილი ქართული კომპანიების ნაწილი ევროკავშირის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული, შესაბამისად მათი ბრუნვის ნაწილი უცხოურ ინვესტიციებად აღიქმება.

დიაგრამა #2.6 ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2019* წ I კვარტალი (მლნ აშშ დოლარი)



**წინასწარი მონაცემები*

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყანა ირლანდია იყო. კერძოდ, „საქსტატის“ ცნობით, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ირლანდიიდან ქვეყანაში 133.2 მლნ აშშ

დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, მაშინ, როცა 2017 წელს ინვესტიციის მოცულობა 0 აშშ დოლარი, ხოლო 2018 წლის პერიოდში მხოლოდ 0.5 მლნ აშშ დოლარი იყო. ირლანდიიდან შემოსული ინვესტიციები, სავარაუდოდ, „აჭარაბეთის“ წილის გაყიდვას უკავშირდება. ინვესტიციების მოცულობით, ირლანდიას მოსდევს გაერთიანებული სამეფო - 42.4 მლნ აშშ დოლარით, მე-3 ადგილზე კი ამერიკის შეერთებული შტატებია - 22.5 მლნ აშშ დოლარით. ჩამონათვალში მე-4 და მე-5 პოზიციებს - იაპონია და პანამა, შესაბამისად, 18.2 მლნ აშშ დოლარითა და 16.7 მლნ აშშ დოლარით ინაწილებენ. ჩამონათვალში მოხვდნენ ასევე: აზერბაიჯანი, რუსეთი და დანია.

ცხრილი #2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2019 წწ (მლნ აშშ დოლარი)*

	2013	2014	2015	2016	2017	2018*	I ₃₃ 2019*
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	141.9	433.7	433.7	635.8	489.5	174.7	38.8
საფინანსო სექტორი	174.4	126.6	126.6	141.1	302.6	277.9	42.7
მშენებლობა	79.5	324.6	324.6	168.7	283.1	103.6	8.3
ენერგეტიკა	244.7	190.0	190.0	144.9	224.2	157.2	-9.5
უძრავი ქონება	62.3	149.6	149.6	49.6	182.2	90	-22.7
სასტუმროები და რესტორნები	-7.1	132.8	132.8	56.1	72.2	72.3	25.4
დამამუშავებელი მრეწველობა	107.3	211.6	211.6	125.6	98.6	142.3	21
სამთომოპოვებითი მრეწველობა	43.7	45.3	45.3	49.7	51.8	66.7	8.4
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	13	12.3	12.3	8.3	12.4	15.9	3.4
ჯანმრთელობა და სოც.დახმარება	720	-8.8	-8.8	29.5	7.2	13.1	0.8
დანარჩენი სექტორები	160	200.0	200.0	156.3	170.7	118.7	164.4
სულ	1020.5	1817.7	1817.7	1565.6	1894.5	1232.4	281.1

**წინასწარი მონაცემები
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში შემოვიდა – 278 მლნ აშშ დოლარი, თუმცა, 2017 წელთან შედარებით, აქაც შემცირებაა 25 მლნ აშშ დოლარით. მეორე ადგილზე ტრანსპორტია 210 მლნ აშშ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორში ინვესტიციები ყველაზე მეტად შემცირდა. მესამე ადგილზე ენერჯეტიკაა 157 მლნ აშშ დოლარით. ყველაზე ცოტა ინვესტიცია კავშირგაბმულობაში შემოვიდა და შედეგად, ამ სექტორში ინვესტიციებმა ზრდის ნაცვლად მოიკლო 35 მლნ აშშ დოლარით. 13 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა ჯანდაცვაში, ხოლო 16 მლნ აშშ დოლარი – სოფლის მეურნეობაში. ეს ორი სექტორი ტრადიციულად ნაკლებად იზიდავს ინვესტიციებს.


რაც შეეხება 2019 წლის პირველ კვარტალს, ყველაზე მეტი ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სფეროში განხორციელდა – 139.8 მლნ აშშ დოლარი. იმ დარგებში (საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი, მშენებლობა), რომლებიც წლების განმავლობაში უცხოური ინვესტიციების მოცულობით ლიდერობდნენ, უცხოური კაპიტალის დაბანდების მკვეთრი შემცირება დაფიქსირდა. კერძოდ, საფინანსო სექტორში პირველ კვარტალში, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ინვესტიციები 33.6 მლნ აშშ დოლარით 42.7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა, ტრანსპორტში – 87.4 მლნ აშშ დოლარით 28.6 მლნ აშშ დოლარამდე, სამშენებლო სექტორში – 46.1 მლნ აშშ დოლარით 8,4 მლნ აშშ დოლარამდე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა სასტუმროსა და რესტორნების სექტორში 18,3 მლნ აშშ დოლარით 25,4 მლნ აშშ დოლარამდე, დამამუშავებელ მრეწველობაში – 8 მლნ აშშ დოლარით 21 მლნ აშშ დოლარამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მნიშვნელოვნად შემცირდა მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორში. ეს ლოგიკურია, რადგან 2018 წელს საქართველოს ეკონომიკის სამშენებლო სექტორი 3%-ით შემცირდა, რაც სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებამ, სამშენებლო ნებართვების გაცემის შემცირებამ და იპოთეკური სესხების შეზღუდვამ განაპირობა.

დიაგრამა #2.7 გვიჩვენებს პროცენტულად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სექტორების მიხედვით.

დიაგრამა #2.7 უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019* წ I კვარტალი (%)



*წინასწარი მონაცემები
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს უმსხვილესი კომპანიების სია (არარეიტინგული), განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ბრუნვის მიხედვით:

- აიდიეს ბორჯომი საქართველო – დამამუშავებელი მრეწველობა;
- შპს მათიკომი – კავშირგაბმულობა;
- BP ჯგუფი – ტრანსპორტი;
- სს ენერგო-პრო ჯორჯია – ენერგეტიკა;
- სს RMG Copper- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- შპს ჯორჯიან მანგანეზი- დამამუშავებელი მრეწველობა;
- შპს აჭარისწყალი ჯორჯია – ენერგეტიკა;
- ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი – მშენებლობა;
- შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი – სასტუმროები;
- სს ნენსკრა ჰიდრო – ენერგეტიკა.

აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის, ასევე, საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებს. სია არ მოიცავს სადაზღვევო კომპანიებს, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საფინანსო საწარმოებს.

2018 წელს ინვესტიციების 35%-იანი კლების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა, რადგან ეკონომიკის ზრდა უმეტესად ტურიზმისა და პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვნად ზრდამ განაპირობა. ასევე, 2017 წელს იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი მატება, რამაც გავლენა 2018 წელზეც იქონია.

2.2 საინვესტიციო პოლიტიკა და ქვეყნის საინვესტიციო გარემოს სრულყოფის გზები

საინვესტიციო გარემო არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო ფორმას, რომელთა შემადგენელი ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, ინვესტირების პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული; სამართლებრივი, რომელშიც საკუთრებითი ურთიერთობა და ეკონომიკური, რომელიც მოიცავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკულ მაჩვენებელს.¹¹

საინვესტიციო გარემოს შექმნა თავისთავად გულისხმობს თანმიმდევრული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებას და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ამოქმედებას, მისაღები საგადასახადო რეჟიმისა და საკანონმდებლო სისტემის არსებობას, ადმინისტრაციული ბარიერებისა და შეზღუდვების შემცირებას, სამართლიანი კონკურენციის პირობების და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნას.

სახელმწიფოს როლი საინვესტიციო პროცესში შემდეგში მდომარეობს: ერთი მხრივ, სახელმწიფო ახდენს სახელმწიფოებრივ კაპიტალურდაბანდებების პოლიტიკის

¹¹ ნ. ფუტყარაძე, საინვესტიციო მართვის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2013, გვ. 165-166.

რეალიზებას - როგორც ცენტრალიზებულის (სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ხარჯზე), ისე დეცენტრალიზებულის (რომლებსაც სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ საკუთარი და ნასესხები სახსრების ხარჯზე). მეორე მხრივ, სახელმწიფოს ფუნქცია მდგომარეობს საინვესტიციო პროცესის რეგულირებაში მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკის (საგადასახადო, საკრედიტო, საამორტიზაციო, საბაჯო და სხვა) გატარებით, საკრედიტო ბაზარზე არსებული სახსრების მოძრაობის რეგულირებით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პროცენტის განაკვეთის მართვით და ა.შ. სწორედ ამ მომენტებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა.¹²

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა იმ მიზანმიმართულ ღონისძიებათა კომპლექსია, რომელსაც სახელმწიფო ატარებს ყველა მეუბნე სუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. მისი მიზანია საინვესტიციო საქმიანობის გამოცოცხლება, ეკონომიკის აღმავლობა და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმი უნდა მოიცავდეს: ინვესტიციების დაფინანსების საიმედო წყაროებისა და მეთოდების მიღწევას; ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრას; ინვესტიციის ბაზრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზრის შექმნას; ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სახელმწიფო მონაწილეობას იღებს საინვესტიციო პროცესში პირდაპირი (სახელმწიფო სექტორში კაპიტლის დაბანდება) და არაპირდაპირი (კრედიტების, სუბსიდიების მიცემა, პოლიტიკური ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკის განხორციელება) გზით. სახელმწიფო ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურის დარგებში.

სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა - მიზანმიმართული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ყველა მეურნე სუბიექტის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლების მიზნით, ეკონომიკის ამაღლებისათვის და სხვა.

¹² ლ.ქოქიაური, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008, გვ.111.

სახელმწიფო ინვესტიციური პოტენციალისაგან განსხვავდება მეურნე სუბიექტთა რეგიონული, დარგობრივი და საწარმოს ინვესტიციური პოლიტიკა. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ წამყვანი, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკაა.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ხორციელდება რეგიონის დონეზე.

დარგობრივი ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი დანიშნულებაა ეკონომიკის იმ პრიორიტეტული დარგების შერჩევა და ინვესტიციური მხარდაჭერა, რომელთა განვითარებაც უზრუნველყოფს ქვეყნის წინსვლით ეკონომიკურ განვითარებას, სახელმწიფო სტრუქტურული და სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებას, ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვით უსაფრთხოებას და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

საწარმოს ინვესტიციური პოლიტიკა მისი ბიზნეს-გეგმის სტრატეგიულ ნაწილს წარმოადგენს და მიმართულია საწარმოს განვითარებაზე, მისი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. ამ პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში საწარმომ უნდა უზრუნველყოს: ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები, ინვესტიციური რისკების მინიმუმამდე დაყვანა, მაქსიმალური მოგების მიღება და სხვა.¹³

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში დიდია საინვესტიციო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტიციური პოტენციალის და მისი შესაბამისი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, რომელიც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას და ინვესტიციური პოტენციალის აღდგენას. ეს ყველაფერი კი მიიღწევა თანამედროვე ტიპის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებით.

1996 წელს იქნა მიღებული საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი ინვესტორებისთვის მეტი სტიმულის გაჩენას. კანონმა განსაზღვრა, როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი გარანტიები საქართველოში.

¹³ ლ. ქოქიაური, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008, გვ.190-194.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, თავისუფალი საინვესტიციო რესურსების მქონე მონაწილეები (ინვესტორები), მეორე მხრივ, ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც საინვესტიციო რესურსებზე აქვთ მოთხოვნილება.

საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონის შესაბამისად, საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეები არიან ინვესტორები, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებით მოსარგებლეები და სხვა პირები. ინვესტორები შეიძლება იყვნენ მეანაბრეები, მყიდველები, შემკვეთები და საინვესტიციო საქმიანობის სხვა მონაწილეებიც.

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტით მოსარგებლეები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური სახელისუფლებო ორგანოები, უცხოეთის სახელმწიფოები და ა.შ. იშვიათ შემთხვევაში, ამ საქმიანობის სუბიექტები ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყვნენ ინვესტორებისა ან საინვესტიციო საქმიანობის ობიექტების როლში და შეითავსონ ამ საქმიანობის სხვა მონაწილეების ფუნქციებიც.

უცხოელ ინვესტორად ითვლება უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. აგრეთვე იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კომპენსაცია, რომელიც მიეცა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის

რეალურ საბაზრო ღირებულებას. ამასთან უნდა მოხდეს იმ ზარალის ანაზღაურებაც, რომელიც განიცადა ინვესტორმა ჩამორთმევიდან კომპენსაციის თანხის გადახდამდე.¹⁴

2006 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზნად ისახავს ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობას ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „აწარმოე საქართველოში“.¹⁵

სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. ასევე სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ზემოთხსენებული სამინისტრო.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირის „აწარმოე საქართველოში“ მიზნებია:

- ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება;
- ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- დამწყები და მოქმედი მეწარმეებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის, მეწარმეობის განვითარების მიმართულებით სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მეწარმეებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის სამეწარმეო კულტურის განვითარებაში ხელშეწყობა;

¹⁴ საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, თბილისი, 1996.

¹⁵ საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, მუხლი 1-ელი; მუხლი მე-2 პუნქტი 1-ელი; მუხლი მე-3 პუნქტი 1-ელი და მე-2, თბილისი, 2006.

- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების მიზნით საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და ამ მიზნით შესაბამის უწყებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია;
- პოტენციური ინვესტორი კომპანიების იდენტიფიცირება და ინვესტორებთან ურთიერთობა;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.¹⁶

2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში - ბიზნესი“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან მხარდაჭერილია 466 პროექტი (მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის, სასტუმროს და ქონების მიმართულებებს), რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1,11 მილიარდ ლარზე მეტია. საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 597,9 მლნ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 17 000- ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი. „აწარმოე საქართველოში – ბიზნესის“ მიმართულების ერთ-ერთი მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა. სააგენტოს მთავარი მისია ქართული საწარმოების მხარდაჭერაში, მოგების გაზრდასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში მდგომარეობს.

2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, კერძოდ, ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერილია 294 პროექტი, ინვესტიციის ჯამური მოცულობა 666,5 მლნ ლარს აღემატება. სულ შეიქმნება 11 600-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულება 2016 წლიდან დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომელიც თითოეულ მეწარმეს, შესაძლებლობას აძლევს განავითაროს

¹⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აწარმოე საქართველოში დებულება“, მუხლი მე-2 პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2017.

სასტუმრო ბიზნესი, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

აღნიშნული კომპონენტი, რეგიონში სასტუმრო ბიზნესის განხორციელების სურვილის მქონე მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. გარდა ამისა, პროგრამის მეშვეობით აქტიურად ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვის სტიმულირება, ე.წ. „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების გზით.

2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულების ფარგლებში მხარდაჭერილია 85 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 237 მლნ ლარს, ხოლო აღნიშნული 85 სასტუმრო შექმნის 2 600-ზე მეტ დამატებით ოთახს და 2 450-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. ზემოთხსენებული სასტუმროები აშენებდება: ბორჯომში, ბაკურიანში, გუდაურში, ფოთში, ურეკში, ნიკორწმინდაში, ყაზბეგში, საგარეჯოში, გონიოში, შეკვეთილში, თელავში, წყალტუბოში, ქუთაისში, ზუგდიდში, მესტიაში, გურჯაანსა და გორში.

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერი კომპონენტი. მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. აღნიშნული პროგრამა გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის.

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ ან გააფრთოვონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მხარდაჭერილია 6 212 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 61 მლნ ლარზე მეტს, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 46.9 მლნ ლარი, სადაც ჯამში დაფინანსებულია 9,384 ბენეფიციარი.

გადაიღე საქართველოში - პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.

2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში შემოსულია 22 განაცხადი, საიდანაც გადაღებები უკვე დასრულდა 15 ფილმზე, დამატებით 7 ფილმზე კი გადაღებები ამჟამად მიმდინარეობს.¹⁷

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, საქართველოში ჯამურად 57,6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, გადაღებებისას კი დასაქმებულთა რაოდენობა 7 950-მდე ადამიანს შეადგენს.

ცხრილი#2.2 „აწარმოე საქართველოში - ბიზნესი“-ს მიერ მხარდაჭერილი ბენეფიციარები

სახელი	ინვესტიციის ჯამური მოცულობა	აღწერა	ადგილმდებარეობა
შპს „ტოტი“	3,279,245 ლარი	სანტექნიკური მოწყობილობები	თბილისი
შპს „ბიო პლასტი“	489 124.94 ლარი	ბიო დეგრადირებადი პარკების წარმოება	თბილისი
შპს „სასტუმრო თელავი“	9 240 000 ლარი	სასტუმრო (მშენებარე)	თელავი
შპს „ალუტექ ჯორჯია“	1,499,000 ლარი	ალუმინის პროფილი და მზა კარ-ფანჯრები	თბილისი
სს „აგრო“	1 568 808 ლარი	ლიმონათის წარმოება	თბილისი
შპს „ბრენდ კონცეპტი“	1 189 030 ლარი	საკვები პროდუქტები	თბილისი
შპს „სვეტი“	750 000 ლარი	ქვის გადამამუშავება	თერჯოლა
შპს „კასარა“	2 756 600 ლარი	ნახშირბადის დიოქსიდის წარმოება	ყაზბეგი
შპს „მალა“	1 320 000	ქვიშის, ღორღის და ბეტონის წარმოება	ხაშური სოფ.ცივწყარო
შპს „ჯეორჯიანტრანს“	432 000 ლარი	პლასტმასის ყუთების და პოლიეთილენის შესაფუთი მასალები	ქობულეთის რაიონი, სოფ ციხისძირი

წყარო:<http://enterprisegeorgia.gov.ge>

¹⁷ <http://www.enterprisegeorgia.gov.ge>

აღსანიშნავია, რომ პროექტების დიდი ნაწილი სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა, რაც მისასაღმებელია გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ზრდა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აწარმოე საქართველოში“ ფუნქცია და მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდა. ინვესტორს აქვს უფლება, მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის გაცემა ან ქონების შეძენა, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის გაცემას და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით.¹⁸

საქართველოს კანონში „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის“ შესახებ არის ტერმინი „განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია“. ინვესტორს, რომელიც გეგმავს განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, შეუძლია საქართველოს მთავრობისგან მოითხოვოს მის მიერ განხორციელებული ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. ასევე ზემოთხსენებული სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ინვესტიციას, რომელიც ხორციელდება მაღალმთიან რეგიონებში, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 2 მილიონ ლარს. სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით.¹⁹

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“-ს შექმნა. სს „საპარტნიორო ფონდი“ სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე შეიქმნა. 2011 წელს იქნა მიღებული საქართველოს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“. სს „საპარტნიორო ფონდი“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით

¹⁸ საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, მუხლი მე-4 პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2006.

¹⁹ საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, მუხლი მე-9; მუხლი მე-10, თბილისი, 2006.

განსაზღვრული სააქციო საზოგადოება, რომელიც სახელმწიფომ დააფუძნა. სახელმწიფო არ მონაწილეობს ფონდის ყოველდღიურ საქმიანობაში და ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებაში. ფონდი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონით „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“, ფონდის წესდებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით.²⁰

ფონდის მიზნებია: მოგების მიღება და ფინანსური აქტივების ღირებულების გაზრდა; ინვესტიციების მოზიდვა; სამუშაო ადგილების შექმნა; შეფერხებული პროექტების დასრულებისათვის ხელის შეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება ან/და დაფინანსება; განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/აქციების განკარგვა.²¹

ფონდი პროექტს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მილიონი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში – მინიმუმ 30 მილიონი ლარი, თუკი ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს. პროექტში მონაწილეობის მსურველმა ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია საინვესტიციო თანხის მინიმუმ 10%-ის ოდენობით.²²

ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2017 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- სს „საქართველოს რკინიგზა“ - 100% წილი;
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ - 100% წილი;

²⁰ საქართველოს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“, მუხლი 1-ელი პუნქტი 1-ელი, მე-2 და მე-3, თბილისი, 2011.

²¹ საქართველოს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“, მუხლი 1-ელი, პუნქტი მე-4, თბილისი, 2011.

²² საქართველოს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“, მუხლი მე-2 პუნქტი მე-2 და მე-3, თბილისი, 2011.

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - 100% წილი;
- სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - 100% წილი;
- სს „თელასი“ - 24.5% წილს.²³

ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოჯისტიკა.

ცხრილი #2.3 „საპარტნიორო ფონდი“-ს მიერ განხორციელებული პროექტები

პროექტი	ადგილმდებარეობა	საინვესტიციო მოცულობა	გახსნის თარიღი
სასტუმრო „Radisson Tsinandali“	კახეთი	30 მლნ აშშ დოლარი	ოქტომბერი 2018
სამოქალაქო ავიაციის კომპოზიტიური ნაწილების ქარხანა	თბილისი	85 მლნ აშშ დოლარი	მაისი, 2018
რუხის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი	ზუგდიდის რაიონი სოფელი რუხი	15 მლნ ლარი	თებერვალი, 2016
მოცვის პლანტაცია და გადამამუშავებელი საწარმო Varnik Agro	დაბა ლაითური, ოზურგეთი	6.7 მლნ აშშ დოლარი	ივნისი, 2015
გარდაბნის თბოელექტროსადგური	გარდაბანი	233 მლნ აშშ დოლარი	ივლისი, 2015
სამშენებლო მასალის მწარმოებელი ქარხანა Panex	რუსთავი	6 მლნ აშშ დოლარი	ივლისი, 2015
სასტუმრო Rixos Borjomi	ბორჯომი	48 მლნ აშშ დოლარი	იანვარი, 2015
სასტუმრო „ჯინო ველნეს სპა“	ახალციხე	5 მლნ აშშ დოლარი	აპრილი, 2013
„კალანდა“	კოდა, ქვემო ქართლი	5 მლნ აშშ დოლარი	ივნისი, 2013

წყარო: <http://www.fund.ge>

²³ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 230, სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ, მუხლი მე-2 პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2011.

ცხრილი #2.4. „საპარტნიორო ფონდი“-ს მიმდინარე პროექტი

პროექტი	ადგილმდებარეობა	საინვესტიციო მოცულობა	გახსნის თარიღი
ნენსკრა ჰესი	სვანეთი, მესტია, ჭუბერი	1 მლრდ აშშ დოლარი	2021 წელი

წყარო: <http://www.fund.ge>

რაც შეეხება დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - "სტარტაპ საქართველო", რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის (ეკონომიკურ რეფორმა, განათლების რეფორმა, სივრცითი მოწყობის, საჯარო მმართველობის რეფორმა) ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას. პროექტის კოორდინატორები არიან სს "საპარტნიორო ფონდი" და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ იდეებზე.

ინოვაციურ კომპონენტში დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ან პირთა ჯგუფს, რომელთაც აქვთ ინოვაციური ბიზნეს იდეა. დასაშვებია ნებისმიერი სფეროს/დარგის დაფინანსება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ინოვაციური იდეა გულისხმობს - ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის, ან მომსახურების დანერგვას.

ბიზნეს იდეა უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი. „სტარტაპ საქართველო“-ს თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. ცალკეული პროექტის მთლიანი ბიუჯეტის ოდენობა არ არის შეზღუდული.

განმცხადებელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტში ფულადი და არაფულადი ფორმით, ამასთან, განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ფულადი ბიუჯეტის სულ მცირე 10%-ს.

„სტარტაპ საქართველო“ რჩება ერთობლივ საწარმოში პარტნიორად არა უმეტეს 10 წლის ვადით, ამასთან ვადა ინდივიდუალურია თითოეული პროექტისათვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ბენეფიციარის მიერ წილის გამოსყიდვა უნდა მოხდეს მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებულ ვადაში. ბენეფიციარს ენიჭება „სტარტაპ საქართველო“-ს წილის გამოსყიდვის უპირატესი უფლება. გამოსყიდვის ფასი შეადგენს „სტარტაპ საქართველო“-ს მიერ ინვესტირებულ თანხას დამატებული წლიური 10% რთული დარიცხვის მეთოდით, ფაქტიური ვადის გათვალისწინებით. უზრუნველყოფის სახით ბენეფიციარს არ მოეთხოვება რაიმე სახის პირადი ქონება, უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ სტარტაპ კომპანიის აქტივები.

მაღალტექნოლოგიური ბიზნეს იდეის შემთხვევაში პროექტს აფასებენ წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები სილიკონველიდან. აღსანიშნავია, რომ მაღალტექნოლოგიური ბიზნეს იდეის შემთხვევაში არ მოითხოვება განმცხადებლის თანხობრივი თანამონაწილეობა, წარმატებულ პროექტებს კი აქვთ შესაძლებლობა შემდგომი განვითარების, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად პროექტი წარუდგენოს ინვესტორებს სილიკონ ველიში.²⁴

²⁴ www.startup.gov.ge

ცხრილი #2.5 „სტარტაპ საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტები

პროექტის დასახელება	ბიუჯეტი	სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული	განხორციელების წელი
Georgian Toys Factory	74,200 ლარი	66,700 ლარი	2016
მიკრო ბოსტნეულის სათბური	80,000 ლარი	72,000 ლარი	2016
Abiturienti.ge	69,000 ლარი	62,000 ლარი	2016
ინოვაციური ტექნოლოგიებით დაფასობული ქართული ნატურალური ჩაი	112,000 ლარი	100,000 ლარი	2016
აიმედია ჰაბ	80,000 ლარი	70,000 ლარი	2016
IRC	115,000 ლარი	100,000 ლარი	2016
ვამლის ჩიფსების წარმოება	110,000 ლარი	90,000 ლარი	2016
სივრცის დამზოგავი ავეჯის წარმოება	106,000 ლარი	94,000 ლარი	2017
ღვინის ჩაის წარმოება	125,000 ლარი	100,000 ლარი	2017
ჩემი საქართველო	110,000 ლარი	99,000 ლარი	2017
HR HUB	23,000 ლარი	20,700 ლარი	2017
ხელოვნური საფრენი აპარატების დრონების საწარმო	115,000 ლარი	100,000 ლარი	2017
Holosseum- ჰოლოგრამული მუზეუმი	226,000 ლარი	100,000 ლარი	2017
ჰოლო	100,000 ლარი	90,000 ლარი	2018
ციფრული ლაბორატორია	114,500 ლარი	86,000 ლარი	2018

წყარო: www.startup.gov.ge

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.²⁵

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-ს მისიაა საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა,

²⁵ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება“, მუხლი 1-ელი პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2014.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა.

სააგენტო, მისი ეფექტიანი შესრულების მიზნით, პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრავს ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირებას, რაც გამოიხატება ტექნოპარკების, ინოვაციების ცენტრებისა და სამრეწველო ლაბორატორიების გახსნაში. ასევე, მუდმივად ზრუნავს ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მხარდამჭერი ინსტრუმენტების ფორმირებაზე, ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტიზაციის მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე, კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის ხარისხიანი და შრომითი ბაზრისთვის დეფიციტური ტრენინგების, მათ შორის ტრენერებისთვის, ხშირ ჩატარებაზე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მასტიმულირებელი საკანონმდებლო პაკეტების ინიცირებასა და ფინანსირების მექანიზმების ხელმისაწვდომობაზე.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული პროექტები:

ბიზნეს ინკუბატორი - დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი, ხოლო შემდგომ მოიძიონ ინვესტორი.

სტარტაპ მეგობრული - პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად.

სტარტაპ ბიტსი - სტარტაპ ბიტსის ფარგლებში ხორციელდება რეგულარული შეხვედრები, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათ შორის წარმატებული სტარტაპერები გამოცდილებას უზიარებენ დამსწრე საზოგადოებას.

2019 წლის მათში ახალი საინვესტიციო პროგრამის პრეზენტაცია შედგა. პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. სტარტაპერების თანადაფინანსების 650 000-ლარიანი გრანტების

პროგრამის მიზანია, მოახდინოს ინოვაციების, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში.

პროგრამის მეშვეობით, ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი საკუთარი ინოვაცია განავითარონ და წარადგინონ მსოფლიოს დონეზე, მოახდენენ ინოვაციური პროდუქტის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური, ან ბიზნეს-პროცესული ინოვაცია, რომელიც ნათლად ასოცირებული იქნება საქართველოსთან და რომლის სათავე ოფისი მოახდენს ოპერირებას საქართველოდან. დაფინანსებული პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა 24 თვეა, გრანტის მოცულობა - 150 000-დან 650 000 ლარამდე. კომპანიის წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 30 მლნ ლარს.²⁶

სს „საპარტნიორო ფონდი“, „სტარტაპ საქართველო“, სსიპ „წარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ არის ის ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ზრდასა და საინვესტიციო გარემოს განვითარებაში. „საპარტნიორო ფონდი“-ს მთავარი მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა (ასევე შიდა ინვესტიციების), ხოლო „სტარტაპ საქართველო“-ს, სსიპ „წარმოე საქართველოში“-ს და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-ს შიდა ინვესტიციების ზრდა და ადგილობრივი წარმოების განვითარება. მათი როლის კიდევ უფრო მეტად ზრდა და მოქმედების არეალის გაფართოება ვფიქრობთ, რომ პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

²⁶ <https://gita.gov.ge/>

თავი III. საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირი

3.1 საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირის ანალიზი

ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მექანიზმია და მისი როლი ეკონომიკური ზრდის ტემპის მაღალი დონის მიღწევაში იზრდება. ინვესტიციების მოცულობის ზრდის არსებითი ფაქტორია ეფექტიანი საინვესტიციო გარემო. საინვესტიციო გარემოს ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია ე.წ ტრადიციული და ინსტიტუციური ფაქტორები. საგადასახადო სისტემა ინსტიტუციურ ფაქტორის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს მსგავსი - ბუნებრივი რესურსებით შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი და მცირე ბაზრების მქონე ქვეყნებისთვის, ინსტიტუციური ფაქტორების როლი განსაკუთრებით მატულობს.

ინვესტიციების მოცულობის ზრდისათვის, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია საგადასახადო საკითხები. საგადასახადო პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირის შესწავლა აკადემიურ დონეზე დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც კორპორაციებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი წარმოების გატანა ნაკლები საგადასახადო ტვირთის მქონე ქვეყნებში. აღნიშნული საკითხის შესწავლა მთავრობებისთვისაც მნიშვნელოვანია, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურია საგადასახადო სისტემა და როგორი დამოკიდებულებაა ინვესტორთა მოსაზიდად დაწესებულ შეღავათებსა და საბიუჯეტო დანაკარგებს შორის.

თეორიული მიდგომით გადასახადებს აქვს გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, როცა ყველა სხვა ფაქტორი თანაბარია. ინვესტორი, რომლისთვისაც ინვესტირების ალტერნატიულ ქვეყნებში რესურსები და ბაზრის მოცულობა ერთი და იგივეა, საგადასახადო ფაქტორებს შორის განსხვავება გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგრამ, პრაქტიკაში ქვეყნები განსხვავდებიან არამარტო საგადასახადო ფაქტორების მიხედვით, არამედ ბაზრის მოცულობით, ბუნებრივი რესურსებით, ადამიანური კაპიტალის ხელმისაწვდომობით და სხვა. საბოლოო ჯამში, ეს ფაქტორები აყალიბებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია. ამ შემოსავლების დაბეგვრის თავისებურებები დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის როგორც შიდა საგადასახადო კანონმდებლობაზე, ასევე ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დაბეგვრის ხელშეკრულებებზე. სხვადასხვა ქვეყნებში საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალების გაფართოება იწვევს ამ საწარმოთა განსხვავებულ დაბეგვრის რეჟიმებში მოქცევას. დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმებს, კაპიტალის ერთიანობის პირობებში, აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მრავალეროვნულ საწარმოთა საბოლოო ფინანსურ შედეგებზე, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით ისინი ზემოქმედებენ ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში განთავსების გადაწყვეტილებებზე. ამ პროცესების შედეგად ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობები სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულნი არიან.

სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ქვეყნის შიდა საქმიანობასა და საერთაშორისო ტრანზაქციებზე გადასახადის დაკისრებისას მთავრობა ეყრდნობა მის მიერ არჩეულ რაციონალურ პრინციპს. ცხადია, საბაზისო რაციონალური პრინციპი გამომდინარეობს თვით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკიდან. ასე რომ, ქვეყანამ უნდა დააწესოს საგადასახადო განაკვეთები იმგვარად, რომ არ მოხდეს უცხოურ ინვესტიციების შემცირება და ქვეყანაში კაპიტალის სტრუქტურაში დანახარჯების ზრდა.

გადასახადის დაკისრება ზრდის კაპიტალის დანახარჯს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ შედეგებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების, დაბალი ინვესტირების, ხელფასებისა და დასაქმების კუთხით. აქედან გამომდინარე, ცხადია უნდა შეფასდეს გადასახადის დაკისრების ეკონომიკური ეფექტი, რადგან არ იყოს იმდენად მაღალი, რომ მან გამოიწვიოს კაპიტალის დანახარჯების ზრდა. სწორედ ამიტომ, უცხოელი ინვესტორები უნდა დაიბეგრონ მინიმალური განაკვეთებით, უცხოური ინვესტიციების სოციალური და ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით.

გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო, საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ინვესტირების პროცესებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა

დაბეგვრის საკითხებმა შესაფერისი საგადასახადო ინსტრუმენტების დანერგვამ, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდებოდა მთავრობების მიერ ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია. საგადასახადო პრობლემატიკა განსაკუთრებით დაკავშირებულია იმ შემთხვევებთან, როდესაც სუბიექტი განლაგებულია ერთ ქვეყანაში, ხოლო შემოსავლის წყარო მეორე ქვეყანაშია. საგადასახადო ორგანოები საჭიროებენ ჩამოყალიბებულ საგადასახადო პოლიტიკას, იმის განსასაზღვრად, თუ როგორ დაბეგრონ შემოსავლები, რომლებიც მიღებულია მათ ქვეყანაში არსებული წყაროდან.

საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეული ქვეყნის მახასიათებლებზე: არის კაპიტალის წმინდა იმპორტიორი (ე.ი. დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, უცხოური ინვესტიციების ოდენობა აჭარბებს ადგილობრივს) ან არის კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი (ე.ი. მოცემული ქვეყნის კერძო სექტორი, მთავრობა და საოჯახო მეურნეობები ახდენენ საზღვარგარეთ ინვესტირებას და ამ ინვესტირების მოცულობა აჭარბებს ქვეყნისშიდა ინვესტირების მოცულობას, რომელიც ხორციელდება უცხოელების მიერ). აღნიშნული განაპირობებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას დაბეგვრის სფეროში, რომლის ძირითადი მიზნებია:

- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება;
- სახელმწიფო კონტროლი გადასახადების თავის არიდებაზე;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არარეზიდენტების შემოსავლების არადისკრიმინაციული დაბეგვრის გზით.

საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო საკითხების როლის ზრდა ნათლად ჩანს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების რიცხვის ზრდაშიც. რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების (DTA) ოდენობის ზრდა დაიწყო 1960-იანი წლებიდან, ხოლო მათი ოდენობის მკვეთრ ზრდას ადგილი ჰქონდა 1990-იანი წლებიდან. 2018 წლისათვის მთლიანად მსოფლიოში ხელმოწერილია დაახლოებით 3000 ორმაგი დაბეგვრის კონვენცია.²⁷

²⁷E. Quak, H. Timmis, Double Taxation Agreements and Developing Countries, Institute of Development Studies, 2018.

თავდაპირველად ორმაგი დაბეგვრის ხელშერულებების რატიფიცირება ძირითადად ხდებოდა განვითარებულ ქვეყნებს შორის, რადგან ეს ქვეყნები ტრადიციულად გვევლინებოდნენ, როგორც კაპიტალის ექსპორტიორ, ასევე იმპორტიორ ქვეყნებად და შესაბამისად, მათთვის მწვავედ იდგა ინვესტიციების ორმაგი დაბეგვრის საკითხები. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ე.წ. ახალი ბაზრების ეკონომიკების მქონე ქვეყნები თანდათან უცხოური ინვესტიციების რეციპიენტი ქვეყნების რიგებიდან ინვესტიციების დონორი ქვეყნების რიგში გადავიდნენ, შესაბამისად მათაც აქტიურად დაიწყო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება. ეს ქვეყნები აფორმებდნენ ხელშეკრულებებს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებთან.

მთავარი მიზანი, რის გამოც განვითარებადი ქვეყნები აფორმებენ DTA-ს არის ინვესტორების მოზიდვა. თუმცა, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი ბერკეტი ვერ იქნება. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე ფაქტორი სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ხელმოწერით ქვეყანა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას თავიდან აიცილოს ერთიდაიგივე გადასახადით დაბეგვრა ორ ან მეტ ქვეყანაში. ამით ქვეყანა ინვესტორს აჩვენებს, რომ საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტებით მუშაობს და უზრუნველყოფს პოზიტიურ სიგნალს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას მან შესაძლოა გაითვალისწინოს.²⁸

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ DTA-ს ხელმოწერა ინვესტორისთვის არ არის საკმარისი პირობა, რომ ქვეყანა შეაფასოს როგორც ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გადასახადების კუთხით. ამ მხრივ, ასევე მნიშველოვანია გამჭვირვალე, არადისკრიმინირებადი და პროგნოზირებადი კანონმდებლობა. ამ ორის კომბინაცია შესაძლებელია იყოს მასტიმულირებელი ფაქტორი ინვესტორისთვის.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო, რამაც, თავის მხრივ, ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა, ქვეყნებს შორის წარმოშვა ერთგვარი კონკურენცია უცხოური ინვესტიციების

²⁸ A. Blonigen, L. Oldenski, N. Sly, Separating the Opposing Effects of Bilateral Tax Treaties, NBER Working Paper 17480. National Bureau of Economic Research Inc, 2011.

მოსაზიდად. ნახსენები კონკურენციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად საგადასახადო პოლიტიკა იქცა. ბევრმა ქვეყანამ შემოიღო ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რასაც თავის მხრივ, ცალკეული ქვეყნების მთავრობების მიერ საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე უარის თქმა მოჰყვა.

საგადასახადო ფაქტორი არ არის იმ ძირითად ფაქტორთა შორის, რომლის მიხედვითაც ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას ქვეყანაში ინვესტირების შესახებ, თუმცა საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის ფისკალურ სტაბილურობას, რომელიც მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს ქმნის. აქედან გამომდინარე, საგადასახადო სისტემა გავლენას ახდენს ინვესტორის მიერ მდებარეობის უპირატესობის განსაზღვრისაზე.

3.2 საქართველოს საგადასახადო სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა ინვესტიციებზე

2005 წლიდან სახეზე გვაქვს, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორე მხრივ, კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება უცხოელი ინვესტორებისათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2004 წლიდან საქართველოს საგადასახადო სისტემაში ძირეული რეფორმები გატარდა. გაცხადებული მიზნების მიხედვით, საგადასახადო სფეროში რეფორმების მთავარი მიზანი ბიზნესისა და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა იყო. ლიბერალური რეფორმების ძირითადი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების რაოდენობის შემცირება იყო.

საგადასახადო სისტემაში გატარდა რიგი რეფორმებისა, კერძოდ:

1. გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი „საშემოსავლო გადასახადი“ 25%-ის ოდენობით, რომელმაც ერთი წლის შემდგომ 20%-მდე დაიწია;

2. შემცირდა მოგების გადასახადი 20%-დან-15%-მდე;
3. განახევრდა გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე 10%-დან 5%-მდე;
4. გაუქმდა საიმპორტო ტარიფების რაოდენობა პროდუქციის 90%-ზე და 16 სხვადასხვა სახის ტარიფიდან მხოლოდ 3 დარჩა (0%; 5%;12%);
5. მოიხსნა საბაჟო გადასახადი პროდუქციის უმრავლესობაზე, ის მხოლოდ გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო პროდუქციაზე შენარჩუნდა;
6. საქართველოში იმპორტსა და ექსპორტზე ქვოტები არ მოქმედებს.²⁹

გადასახადების შემცირებას პოტენციური ინვესტორებისათვის აქვს ორმაგი დატვირთვა: პირველ რიგში, მცირდება პირდაპირი საგადასახადო ხარჯი, ასევე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარირების ხარჯები.

საგადასახადო ტვირთის შემცირებითა და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების გზით, საქართველოში ბიზნესის კეთება გამარტივდა. აღსანიშნავია განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმის შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის:

- ✓ მიკრო ბიზნესი - მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.³⁰ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს;³¹
- ✓ მცირე ბიზნესი - მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით.³² მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით, თუ

²⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“, №5280–რს, თბილისი, 2007.

³⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 84-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010.

³¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 86-ე, თბილისი, 2010.

³² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 90-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე;³³

- ✓ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი - ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.³⁴ ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს: დაბეგრის ობიექტზე - 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში; დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.³⁵

წარმატებული გამოდგა რეფორმა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში, რომელმაც საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად გაამარტივა, კერძოდ:

- ✓ 2007 წელს მიღებულმა კოდექსმა ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპის საბაჟო ტარიფი სამამდე დაიყვანა;
- ✓ პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა;
- ✓ გამარტივდა საბაჟო პროცედურები და მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობა;
- ✓ მოიხსნა რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) როგორც იმპორტზე, ასევე - ექსპორტზე;
- ✓ გაიხსნა უახლესი აპარატურით აღჭურვილი, მსოფლიო სტანდარტების საბაჟო ტერმინალები.

ბოლო დროს, უფრო და უფრო ლიბერალური ხდება როგორც კანონმდებლობა, ასევე უშუალოდ საგადასახადო ორგანოების მიდგომები დაბეგრისა და გადასახადის

³³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 90-ე, პუნქტი მე-2, თბილისი, 2010.

³⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 95-ე, პუნქტი 1-ელი, თბილისი, 2010.

³⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლი 95-ე, პუნქტი მე-3, თბილისი, 2010.

ადმინისტრირების საკითხებზე. უკანასკნელი ცვლილებებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მოგების გადასახადის რეფორმა, ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლა. რეფორმის ძირითადი არსი მარტივია, მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოებში წარმოიქმნება არა მოგების მიღების დროს, არამედ მისი დივიდენდის სახით გაცემის დროს ანუ იბეგრება განაწილებული მოგება. კომპანიას უფლება აქვს დაუბეგრავად განახორციელოს მოგების რეინვესტირება, გააფართოოს ან გადაიარაღოს წარმოება ან დეპოზიტზე შეინახოს იგი. მოგების გადასახადის გადახდა ყოველთვიურად ხდება. შესაბამისად, საწარმოებს საშუალება ეძლევათ, წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეცვალონ მოგების განაწილების გეგმა და საინვესტიციო პოლიტიკა. ესტონური მოდელი გრძელვადიან პერიოდში დადებითად იმოქმედებს საინვესტიციო გარემოზე. მსხვილ საწარმოებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე არიან ორიენტირებულები, მეტი სტიმული ექნებათ არ გაინაწილონ მოგება და მოახდინონ რეინვესტირება.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი მთავრობას მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე გადასახადის გაზრდის საშუალებას არ აძლევს. „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. აღნიშნული მუხლი ინვესტორების დაცვის საშუალებაა, ვინაიდან ისინი დაცულები არიან გადასახადების უეცარი/მოულოდნელი ზრდისგან. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აღნიშნული მუხლის კონსტიტუციაში უცვლელად დატოვებისა სწორედ ინვესტორები და საინვესტიციო გარემოს მდგრადობის შენარჩუნება იყო.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური კაპიტალისათვის და ლიდერია უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთათვის რეგისტრაციის სიმარტივითა და მასზე დახარჯული დღეების მიხედვით. ბიზნესის დასაწყებად საკმარისია 4 დღე, მაშინ, როდესაც პოლონეთში ამისათვის საჭიროა 33 დღე, რუსეთში 31 დღე, საბერძნეთში 22 დღე, ბულგარეთში 20 დღე, სომხეთში 18 დღე, თურქეთში 8 დღე. ბიზნესის დაწყების პროცედურები ყველაზე მეტ ხანს - თითქმის 6 თვეზე მეტს მოითხოვს ანგოლასა (263 დღე)

და ჰაიტიში (212 დღე). აღსანიშნავია, რომ 4 დღეზე ნაკლებ დროში მსოფლიოს არც ერთ გამოკვლევულ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი ბიზნესის დაწყება.

საქართველო ასევე ლიდერია მსოფლიოში ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების მიხედვითაც - 4 პროცედურა, რომელთაგან თითოეულის დამუშავება ერთ დღეშია შესაძლებელი:

1. საზღვარგარეთული მშობელი კომპანიის დოკუმენტაციის ავტორიზაცია;
2. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა (160 ლარი);
3. კომპანიის დარეგისტრირება და შესაბამისი კოდების მიღება;
4. ბანკში კორპორაციული ანგარიშის გახსნა.

2013 წლამდე საქართველო უცხოელ ინვესტორებს მაქსიმალურად გაადვილებულ გზას სთავაზობდა მიწის შესაძენად. თუმცა, 2013 წელს ეს პრაქტიკა შეწყდა. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მიწის კადასტრის შესახებ ისევ ადვილად ხელმისაწვდომია უცხოელი ინვესტორისთვის, რომელთაც გარკვეული პროცედურის გავლის შემდეგ შეუძიათ მიწის იჯარით/ლიზინგით აღება.

უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკა ასევე ასახულია რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. ამ ხელშეკრულებების მთავარი მიზანია: ინვესტორთათვის გარკვეული სახის გარანტიების შეთავაზება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის გზით საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს ყველა ძირითად ინვესტორ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (55 ქვეყანა).³⁶ ამ კონვენციების მიხედვით, ინვესტორს აქვს იმის გარანტია, რომ ის არ მოექცევა ორმაგი დაბეგვრის ქვეშ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული ხელშეკრულებები. საგადასახადო ტვირთიდან გამომდინარე, ინვესტორმა შესაძლებელია განსაზღვროს ინვესტირებისათვის სასურველი ქვეყანა. ეს ხელშეკრულებები უცხოელ ინვესტორებს ფაქტობრივად სთავაზობენ უფრო დაბალი განაკვეთებით დაბეგვრას დივიდენდისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ჩათვლით. საგადასახადო განაკვეთები და გამოქვითვები ცვალებადობს კონკრეტულ

³⁶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <https://www.mof.ge/>

ქვეყნასთან მიმართებაში, თუმცა საქართველოს მიდგომა ამ მხრივ, საკმაოდ ლიბერალურია და იგი უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისკენაა მიმართული.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული შემოსვლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები უცხოელ ინვესტორებს საკმაოდ ფართო შეღავათებს სთავაზობს, როგორც საგადასახადო განაკვეთების, ასევე, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის თვალსაზრისით.

აღნიშნული რეფორმები და ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სფეროში აღიარებულ იქნა როგორც დადებითი შედეგის მომტანი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიღწევა. აღნიშნული დასკვნა ასახულ იქნა არა ერთ საერთაშორისო კვლევასა და რეიტინგში.

მსოფლიო ბანკის პროექტი “Doing Business” უკვე წლებია მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას აფასებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს არსებობის თვალსაზრისით. ბიზნესის კეთების ინდექსი აერთიანებს ორი ტიპის ინდიკატორებს: 1. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტების სიძლიერეს; 2. ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება რეგულირების პროცესის კომპლექსურობას და დანახარჯებს. შეფასება ხდება 10 პარამეტრის მიხედვით ცალ-ცალკე, და საბოლოოდ, როგორც კრებსითი შედეგი დგება ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგი ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით.

2019 წლის მოხსენებაში საქართველო დახასიათებულია, როგორც ღია ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისთვის.³⁷

³⁷ Doing business in Georgia 2019 Commercial guide for investors – <http://www.doingbusiness.org/>

ცხრილი #3.1 “Doing Business”-ის კვლევის შედეგები

პარამეტრი	რეიტინგი 2019	ქულა (DFT) 2018	ქულა (DFT) 2019	ცვლილება
სულ	6	82.04	83.28	+1.24
ბიზნესის დაწყება	2	97.94	99.34	+1.4
მშენებლობის ნებართვა	27	77.57	77.61	+0.04
ელ. ენერჯის მიწოდება	39	84.32	84.38	+0.06
ქონების რეგისტრაცია	4	92.85	92.86	+0.01
კრედიტის მიღება	12	85.00	85.00	არ შეცვლილა
ინვესტორთა დაცვა	2	81.67	81.67	არ შეცვლილა
გადასახადების გადახდა	16	87.14	89.03	+1.18
საერთაშორისო ვაჭრობა	43	82.43	90.03	+7.6
კონტრაქტების აღსრულება	8	75.97	76.90	+0.93
გაკოტრების მართვა	60	55.59	56.03	+0.44

წყარო: <http://www.doingbusiness.org/data/exploreconomies/georgia/>

კატეგორია ბიზნესის დაწყება - საქართველო 99.34 ქულით მე-2 ადგილს იკავებს და უსწრებს სომხეთს (მე-8 ადგილი 96.21 ქულა), აზერბაიჯანს (მე-9 ადგილი 96.14 ქულა) და სხვ. აღსანიშნავია, რომ მოცემულ კატეგორიაში ევროპისა და ცენტრალური აზიის საშუალო მაჩვენებელი 90.02 ქულას შეადგენს. „ბიზნესის კეთების“ საბოლოო რეიტინგში, საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის 83.28 ქულით მე-6 ადგილს იკავებს, თუმცა პრინციპული ხასიათის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ, ხელს უშლიან წარმატებებს, რომლებსაც ქვეყანამ უკვე მიაღწია. მაგალითად: გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი პრობლემებია: არაკვალიფიციური

სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ “Doing Business”-ის კვლევას გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, კერძოდ, ის სიტუაციას აფასებს უფრო მეტად ფორმალური კუთხით, ანუ სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ანალიზის ფონზე, ჩრდილში რჩება ქვეყნის შიგნით არსებული არაფორმალური ურთიერთობები და ზოგადი პოლიტიკური ვითარება, რაც ზოგჯერ უფრო მეტ გავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, ვიდრე საკანონმდებლო სივრცე.³⁸

საქართველო 189 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა (გასულ წელს 22-ე) მსოფლიო ბანკისა და PwC-ის Paying Taxes 2019 ერთობლივი ანგარიშის თანახმად, რომელიც ახდენს ქვეყნების შედარებას იმის მიხედვით, თუ რამდენად მარტივია საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნა. Paying Taxes 2019 წარმოადგენს მსოფლიო ბანკის “Doing Business 2019”-ის კვლევის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელშიც საქართველო მე-9 ადგილზეა.

Paying Taxes აფასებს, თუ როგორ ურთიერთქმედებს საშუალო ბიზნესის მქონე ადგილობრივი მწარმოებელი კომპანია საგადასახადო სისტემებთან 189 ქვეყნის ეკონომიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი აფასებს არა მხოლოდ გადახდილი გადასახადის თანხის ოდენობას, არამედ იმას, თუ რამდენი ხანი სჭირდება კომპანიას საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან, კვლევა მოიცავს იმ დროს, რაც საჭიროა ძირითადი გადასახადების დეკლარაციების მოსამზადებლად, საგადასახადო სტრუქტურაში წარსადგენად და გადასახადის გადასახდელად.

Paying Taxes 2019-ის მონაცემების მიხედვით, კვლევაში მონაწილე კომპანიებს საქართველოში ესაჭიროება 220 (269 გასულ წელს) საათი საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად აღნიშნული კომპანიები ახორციელებს 5 გადახდას, ხოლო გადასახადის წილი მთლიან შემოსავალში შეადგენს 9.9 % (16.4% - გასულ წელს).

კვლევაში მონაწილე კომპანიებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ცენტრალური აზიის ქვეყნებში საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად საშუალოდ ესაჭიროებათ 220 საათი, რაც საქართველოს მაჩვენებლის ტოლია. თუმცა, რეგიონის

³⁸ www.doingbusiness.org

საშუალო გადასახადის წილი მთლიან შემოსავალში (TTCR) მეტია საქართველოს მაჩვენებლებზე და შეადგენს 32.8%-ს. ამასთან ერთად რეგიონალური საშუალო გადახდების რაოდენობაც აღემატება საქართველოს საშუალო გადახდების რაოდენობას და საშუალოდ 16 ერთეულის ტოლია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) საქართველოს იმ 5 ქვეყანას შორის ასახელებს, რომლებმაც საუკეთესო საგადასახადო რეფორმა გაატარა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ერთ-ერთი პრობლემა სწორედ გადასახადების მობილიზება იყო. ამ პერიოდში, კორუფციის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაბალი იყო პენსიები და საჯარო უწყებებში დასაქმებული პირების ხელფასები, მთავრობას არ შეეძლო მათი გადახდა.³⁹ საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღნიშნავს, რომ ამ კუთხით რეფორმების გატარება ქვეყანაში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. წარმატებულ ნაბიჯად აფასებს სავალუტო ფონდი გადასახადების მობილიზების ელექტრონული სისტემის წარდგენას და გადასახადების რაოდენობს შემცირებას. "ტექნოლოგიამ", ერთი მხრივ, გაზარდა გადასახადების მობილიზების ეფექტიანობა, მეორე მხრივ, კი შეამცირა შესაძლო კორუფციის რისკები. ამასთან, ქვეყანამ შეამცირა ბიზნესის დასაწყებად მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა, რამაც მას მეტი გადასახადის მიღების შესაძლებლობა მისცა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA), რომელიც ევროკავშირთან, როგორც საქონლით ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ნაწილია. DCFTA-ის შემთხვევაში გასაღების ბაზრის სტაბილურობა და მსყიდველობითუნარიანობა, არის მინიმუმ ორი დამატებითი ფაქტორი, რაც უცხოელი ინვესტორების საქართველოში მეტ დაინტერესებას გამოიწვევს. ევროკავშირთან ღრმა

³⁹ ნ. კვინტრადე, საქართველოში გატარებული საგადასახადო რეფორმა მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებულია, 2018 - Forbes.ge.

და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ქვეყანას საშუალებას მისცემს მოახდინოს როგორც, ფიზიკური კაპიტალის განახლება თანამედროვე სტანდარტებით, ასევე, ადამიანური კაპიტალის განვითარება, ტექნოლოგიური ცოდნის განვითარება და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების ტექნოლოგიების ათვისება. ის ეტაპობრივად უზრუნველყოფს ქართული ბიზნესის ახალ რელსებზე გადასვლას. ამ ნაწილში იგულისხმება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების განახლებული სტანდარტების დანერგვა, უკეთესი ხარისხის მიღების მიზნით. ქართველი ბიზნესმენებისათვის საჭიროა ტექნიკური დახმარებების შესაძლებლობების მოძიება, ევროკავშირის წესებისა და ნორმების ეფექტიანად და სწრაფად დამღვეისთვის, კერძოდ, ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტირებისთვის. რეალურად, DCFTA-ი სტიმულია იმ ქართველი მეწარმეებისათვის, რომლებიც მზად იქნებიან აწარმოონ საქონელი და მომსახურება უფრო მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებით. მაღალი ხარისხის პროდუქცია კონკურენტული ფასების პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე შესასვლელად იქნება მზად. ფაქტია, რომ DCFTA-ი ქართველი მეწარმეების მიერ საექსპორტო ბაზრების ათვისებისათვის სერიოზული გამოწვევაა და ამასთან, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყანაში კონკურენციის განვითარებისათვის.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში ინვესტიციების ზრდაზე, თუკი ამუშავდება ე.წ. სამმხრივი მოდელი, რაც გულისხმობს ერთ ქვეყნიდან შემოტანილი ნედლეულის გადამამუშავებას მოცემულ ქვეყანაში და შემდგომ ექსპორტზე გატანას სხვა დიდი ბაზრის მქონე ქვეყნებში, ამ შემთხვევაში ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით.

2019 წლის დასაწყისში სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ერთი ნიშნულით BB-მდე გააუმჯობესა, ხოლო პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა. მანამდე, ჯერ კიდევ 2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე.

სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, რეიტინგის გაუმჯობესება განპირობებულია 2018 წლის განმავლობაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით და

საგარეო შოკებისადმი მდგრადობის ზრდით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეგიონში არსებული შოკების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მაღალი ტემპით გაიზარდა.

ინვესტიციების მოსაზიდად შემსუბუქებული საგადასახადო სისტემა არის ეფექტიანი ფინანსური ინსტრუმენტი. საქართველოს მთავრობა, ხშირ შემთხვევაში იყენებს საგადასახადო შეღავათებს ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთს, თუმცა არა ერთადერთ მასტიმულირებელ ინსტრუმენტს.

ეკონომიკური განვითარების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, თანამდეროვე სახელმწიფოები მიმართავენ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა და რეგულირება მიმზიდველი ხდება, როგორც ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფოებისთვის, ასევე, განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, სადაც ეს ზონები წარმატებით ფუნქციონირებენ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იძლევა შესაძლებლობას მსხვილი ინვესტორებისთვის შეიქმნას მიმზიდველი სამეწარმეო გარემო კაპიტალდაბანდებისთვის.

2007 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა, რადგანაც მათ აქვთ შემდეგი უპირატესობები:

1. საგადასახადო შეღავათები;
2. გამარტივებული პროცედურები;
3. გადახდების განხორციელება შეიძლება ნებისმიერ ვალუტაში;
4. გათავისუფლებულია ლიცენზიების/ნებართვების უმრავლესობის მიღების ვალდებულებისგან;
5. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დამოუკიდებლობა.

სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა და თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ამავდროულად, ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომლის მიზანია ეკონომიკური საქმიანობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლის ხელშეწყობა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა⁴⁰, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს განსაზღვრული საზღვრებით და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით. ინდუსტრიული ზონა შეიძლება იყოს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფართი აღემატება 10 ჰექტარს, რომელიც გარკვეული ვადით არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის და მასზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქცია.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას:

- საქართველოს მთავრობის ინიციატივით;
- როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის (შემდგომში-ორგანიზატორი) მოთხოვნით მის საკუთრებაში ან/და თანამფლობელობაში არსებულ ან/და იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისთვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება წარდგენილი თავისუფალი ზონის მოწყობის გეგმის შესაბამისად თავისუფალი ზონის მიწის ნაკვეთის ფართობის ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე 5 ევროს ოდენობით, არა უმეტეს 2 000 000 ევროს ოდენობისა. გარანტია უნდა მოქმედებდეს თავისუფალი ზონის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში და წარმოდგენილ უნდა იქნეს არანაკლებ 3 წლის ვადით. ყოველ 10 წელიწადში გარანტიით გათვალისწინებული თანხის ოდენობა იცვლება ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილებების გათვალისწინებით.

ორგანიზატორი საქართველოს მთავრობას წარუდგენს განცხადებას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ინიციატივით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს თიზ-ის ფუნქციონირების ვადა). საქართველოს მთავრობა განცხადების მიღებიდან 50 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ ან ორგანიზატორს ეუბნება დასაბუთებულ უარს. საქართველოში შექმნილი თიზ-ების ერთიან შიდა საუწყებო რეესტრს აწარმოებს და თიზ-ის შექმნის შესახებ განცხადებას განიხილავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თიზ-ში საქმიანობას ორგანიზატორის თანხმობით ახორციელებს თიზ-ის

⁴⁰ საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ, თბილისი, 2007.

ტერიტორიაზე რეგისტრირებული საწარმოები, რომლებიც რეგისტრირდებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თიზ-ში შესაძლებელია ასევე საქმიანობა განხორციელოს თიზ-ის გარეთ რეგისტრირებულმა საწარმოებმა, თიზ-ში რეგისტრირებული მუდმივი წარმომადგენლობების მეშვეობით. თიზ-ის შესასვლელსა და გასასვლელში ეწყობა საბაჟო გამშვები პუნქტები, რომელიც ახორციელებს თიზ-ში შემავალი და გამომავალი საქონლის საბაჟო კონტროლს და სასაქონლო ოპერაციის განხორციელებას. თიზ-ში შესაძლებელია შეტანილ იქნას როგორც საქართველოს, ასევე უცხოური საქონელი, რომელთაგან საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება როგორც ექსპორტი, ხოლო უცხოური საქონლის შეტანა წარმოადგენს თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციას. თიზი-დან საქონელი შესაძლებელია შემოტანილ იქნას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე გატანილ იქნას სხვა ქვეყნებში, რომელთაგან თიზი-დან საქონლის საქართველოში შემოტანა განიხილება როგორც საქონლის იმპორტი, ხოლო სხვა ქვეყნებში გატანა ექსპორტი.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში მოქმედებს შემდეგი საგადასახადო შერავათები:

- მოგების გადასახადის ნულოვანი რეჟიმი მხოლოდ იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით საქმიანი ურთიერთობა არ აკავშირებთ საქართველოსთან;
- უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით;
- განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით;
- დივიდენდი არ იბეგრება;
- მოქმედებს ასევე ქონების გადასახადის ნულოვანი რეჟიმი;
- ანგარიშსწორება ხდება ნებისმიერი ვალუტით.

შედეგად, კომპანიები მნიშვნელოვან დანაზოგს აკეთებენ საგადასახადო შეღავათების გამო:

- მოგების გადასახადზე-დაბეგვრადი მოგების-15%;
- ქონების გადასახადზე-საკუთრების საშუალო საბალანსო ღირებულების-1%;
- დამატებული ღირებულების გადასახადზე (დღგ)-18%.

საქართველოში ფუნქციონირებს 5 ინდუსტრიული ზონა, ესენია:

1. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ფოთის თიზი);
2. ყულევის (ფაზის ოილი) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
3. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
4. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
5. ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

თიზის ტერიტორიაზე სავაჭრო ბრუნვისა და ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება. როგორც ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ სხდომაზე განაცხადა თიზ-ში მუდმივად დასაქმებულია 1000 ხოლო სეზონურად 2500-მდე ადამიანი. ინდუსტრიულ ზონებში დაახლოებით 250 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უკვე განხორციელდა და იგეგმება დამატებით 150 მლნ-ს ინვესტირება.⁴¹

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ფოთის თიზი 2009 წელს, ქ. ფოთში, ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე (300 ჰა), 99 წლის ვადით შეიქმნა. თიზის ორგანიზატორი არაბული კომპანია „რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ იყო.

2016 წელს არაბულმა ინვესტორმა, „რაკიამ“ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 85%-იანი წილი სახელმწიფოს გადასცა. ამის მიზეზად შეუსრულებელი ვალდებულებები სახელდება. „რაკიამ“ ვერ შეასრულა თიზის განვითარებისთვის ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც დაეკისრა პირგასამტეხლო, რომლის ჩამოწერის სანაცვლოდ ინვესტორმა თიზის საკონტროლო პაკეტის 85% სახელმწიფოს გადასცა.

2017 წლის სექტემბერში ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილი ჩინურ კომპანია China Energy Company Limited-ს (CFFC) გადაეცა. CFFC ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კონგლომერატია, რომელიც ენერჯეტიკის, საფინანსო, სავაჭრო

⁴¹ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komiteti/axali-ambebi-dargobrivi/tavisufali-industriuli-zonebis-ganvitarebis-taobaze-dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komitetis-gasvliti-sxdoma-gaimarta.page>

სფეროში საქმიანობს. კომპანიამ ფოთის თიზში 150 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

თიზის 10%-იანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ქუთაისის თიზი 2009 წელს 99 წლის ვადით, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე განთავსდა. მისი ფართობი 27 ჰექტარია. თიზის ადმინისტრატორი „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ჰოლდინგია“.

თიზის ტერიტორიაზე 37 საწარმო ფუნქციონირებს. ძირითადი (შედარებით მსხვილი) კომპანიებია: Fresh Georgia, რომელიც არის ეგვიპტური კომპანიის შვილობილი. ის აწარმოებს საოჯახო ტექნიკას (გაზქურები, წყლის ელექტროგამაცხელებლები, სარეცხი მანქანები) და Atlantic Georgia, რომელიც დენის გამათბობლებსა და წყლის გამაცხელებელ ავზებს აწარმოებს. განხორციელებულმა ინვესტიციამ 2009 წელს შეადგინა 55 750 580 აშშ დოლარი.

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ქუთაისის ჰუალინგის თიზს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ სტატუსი საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2015 წელს, 30 წლის ვადით მიენიჭა. ის განლაგებულია ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე და 36 ჰას მოიცავს. თიზის ორგანიზატორი არის „ჰუალინგ ჯგუფის“ წევრი „GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD“.

ქუთაისის ჰუალინგის თიზი 25%-იანი დატვირთვით მუშაობს. თიზში ამ ეტაპზე, 70-მდე სამრეწველო/სავაჭრო/სერვისული კომპანიაა რეგისტრირებული. თიზის ტერიტორიაზე შემდეგი ტიპის საწარმოები ოპერირებენ: ხის გადამამუშავებელი, სამშენებლო ქვის დამამუშავებელი, ავეჯის, მატრასების, ლითონკონსტრუქციების, მანქანა-დანადგარების ფილტრების მწარმოებელი ქარხანა, სილიციუმის მწარმოებელი ქარხანა, სპირტის მწარმოებელი ქარხანა და სხვა. იგეგმება მზის პანელების საწარმოს გახსნაც. თიზში ძირითადად უცხოური კომპანიები ოპერირებენ (ჩინური, ეგვიპტური, აზერბაიჯანული, ესპანური და სხვა).

ქუთაისის ჰუალინგის თიზის დირექტორი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ქუთაისის ჰუალინგის თიზში დაახლოებით 10 მლნ აშშ დოლარზე მეტია ინვესტირებული.

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა 2015 წლის ოქტომბერში, 49 წლის ვადით შეიქმნა, ის განლაგებულია თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 17 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. თბილისის თიზის ადმინისტრატორი შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკია“, რომელიც BitFury-ის შვილობილი, მსოფლიო კრიპტოვალუტის, ბიტკოინის (ბლოკჩეინის) ტექნოლოგიების წამყვანი კომპანიაა.

ტერიტორია, სადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა განლაგებული, თიზის სტატუსის მინიჭებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2015 წლის მაისში „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკმა“ სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად – 1 ლარად შეიძინა. მიწის გადაცემის საინვესტიციო ვალდებულებად კი მონაცემთა დამუშავების ცენტრის შექმნა განისაზღვრა, რაშიც მინიმუმ 11 110 000 აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო.

2015 წლის ბოლოს BitFury-მ თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე 40 მგვტ სიმძლავრის „დატა ცენტრი“ გახსნა. რადგან „დატა ცენტრი“ თიზის ტერიტორიაზეა განთავსებული, ის გათავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან. შესაბამისად, ის ელექტროენერჯის საფასურს დღგ-ის გარეშე იხდის, რაც კომპანიისთვის დიდი მოგებაა, რადგან დატა ცენტრების დანახარჯების 90%-ზე მეტი სწორედ ელექტროენერჯიაზე მოდის.

ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. 2012 წლის 18 სექტემბერს, საქართველოსა და შპს „Socar Georgia Investments“-ს შორის, გაფორმდა ხელშეკრულება-ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყულევის თიზ-ი) შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ. 18.09.2012 წლის ხელშეკრულების თანახმად, თიზ-ის მოქმედების ვადა განისაზღვრა 99 წლით. ფუნქციონირების დაწყების ვადა, არაუგვიანეს 2014 წლის 1 სექტემბრისა. ხოლო 11.08.2016 წლის შეთანხმების საფუძველზე (ცვლილება 18.09.2012წ. ხელშ-ში) „Socar Georgia Investment“-ის უფლებამონაცვლე გახდა შპს „ფაზის ოილი“ (ს/კ 406061559). ყულევის თიზ-ის მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 (ხუთი) წელი. ფუნქციონირების დაწყების ვადა 2017 წლის 1 სექტემბერი.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს თიზში რეგისტრირებული გადამხდელების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები შეადგენს 3 მლნ ლარს, ხოლო მათ მიერ ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის ღირებულება 488 მლნ ლარია.⁴²

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკაზე თიზების გავლენასთან დაკავშირებით ხელისუფლების (როგორც მოქმედი, ასევე წინა ხელისუფლების) წარმომადგენლებს გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ. თიზი ქვეყნის ტერიტორიისა და ეკონომიკის ნაწილია, ეკონომიკის პროპორციულად ვითარდება. ინვესტორის მოსაზიდად მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო სისტემა არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური გარემო. ამასთან, მსოფლიოში ათასობით წარმატებული თიზი ფუნქციონირებს, მათ შორის ჩვენს მეზობელ თურქეთში და, შესაბამისად, კონკურენციის გაწევაც რთულია.

თიზის შექმნის მიზანი ინვესტორებისა და კაპიტალის მოზიდვაა. როგორც წესი, სპეციალური ეკონომიკური ზონები ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპს აჩქარებენ. თუმცა თიზმა რომ ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენა იქონიოს, ჯერ მისი განვითარებაა საჭირო. თიზები წარმატებულია განვითარებულ (დიდი ეკონომიკის მქონე) ქვეყნებში. სპეციალური ეკონომიკური ზონები განსაკუთრებით წარმატებულია ჩინეთში (ჰონკონგი, შანხაი), არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (დუბაი). თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშეს. თავისუფალი ეკონომიკური ზონები წარმატებით ფუნქციონირებს ჩვენს მეზობელ თურქეთშიც. თიზის წარმატებლობის მაგალითებიც ბევრი მოიძებნება, განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, თუ რატომ არ არის საქართველოში თიზები იმ დონეზე წარმატებული, რა მოლოდინიც ხელისუფლებებს ჰქონდათ. პირველი, საქართველოში საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია, ასევე მარტივად გაიცემა სამეწარმეო ლიცენზიები და ნებართვები, შესაბამისად, თიზი განსაკუთრებულად მიმზიდველი ვერ იქნება. ამასთან უკვე არსებობს წარმატებული თავისუფალი ეკონომიკური ზონები ჩვენს რეგიონში, მათ შორის ზემოთ ნახსენებ ჩვენს მეზობელ თურქეთში, რომელთანაც კონკურენციის გაწევა რთულია. აქვე აღსანიშნავია, რომ

⁴² საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2018.

საქართველოში პირველი თიზების ამოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდს დაემთხვა, რაც თიზების განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25 მუხლით, რომელთა მიხედვითაც თიზებს ენიჭებათ გარკვეული საგადასახადო უპირატესობები. აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიმართ მოქმედებს იმპორტ-ექსპორტის 4%-იანი გადასახადი. ინდუსტრიულ ზონებში მოქმედი კომპანიების ნაწილის განცხადებით, 4%-იანი გადასახადი უქმნით ერთგვარ უხერხულობას თავიანთ საქმიანობაში.

თავისუფალი ეკონომიკის ქვეყანაში, რომელსაც უნდა ბაზრის თავისუფლებით და გადასახადების სიმცირით მოიზიდოს ზოგადად ინვესტიციები, თავისუფალი ზონების არსებობას კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი უპირატესობები სჭირდება, რომელიც თანხვედრაში იქნება საერთო სურათთან. თუ ჩვენ ვაპირებთ ეს მიმართულება გავაძლიეროთ და უფრო ეფექტიანი გავხადოთ, მაშინ აქ საჭირო იქნება საკანონმდებლო ცვლილებები და ინსტიტუციონალური კოორდინაციის გაძლიერება, რადგანაც ის კანონი, რომლითაც ეს სფერო დღეს რეგულირდება, შეიქმნა იმ პირობებში, რომლის შემდეგაც ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და ის რეალობას ადეკვატურად აღარ ასახავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და საგადასახადო სისტემების რეფორმები დადებით იქნა აღმოცემული მსოფლიოში აღირებულ საერთაშორისო კვლევებსა და შეფასებებში. მეორე მხრივ, 2005 წლიდან სახეზე გვაქვს, საერთო ჯამში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების შემოდინების ზრდა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ ორ ფაქტორს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი: საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობას საქართველოში. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო პოლიტიკის გარდა, თეორიულად ასევე არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას. საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები, თავის

მხრივ, არ შედის ძირითად საინვესტიციო ფაქტორებს შორის (გასაღების ბაზრები და რესურსები) და მიეკუთვნება ინვესტირების ე.წ. ინსტიტუციონალურ ფაქტორებს. ინვესტირების ინსტიტუციონალური ფაქტორები კი თეორიულად მნიშვნელოვანი შესაძლებელია აღმოჩნდეს მცირე და რესურსებით არაუზრუნვეყოფილი ქვეყნებისათვის.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ბოლო რამდენიმე წელია პირველ ათეულში იმყოფებიან, ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა აღნიშნული კომპანიების დამოკიდებულება საგადასახადო სისტემის მიმართ, თუ რამდენად ახდენს საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა გავლენას საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე. შევიმუშავეთ შესაბამისი კითხვარი, რომელიც შევსებულ იქნა კომპანიის მმართველი მენეჯერების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ კომპანიის სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოში.


სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ ჩეხეთის რესპუბლიკის კომპანიის “ენერგო-პრო ეი-ეს” სრულ მფლობელობაშია. კომპანია საქართველოში დაფუძნდა 2006 წლის 31 ივლისს ხოლო საქართველოს ენერგოსექტორში პრაქტიკული საქმიანობა 2007 წლის 29 ივნისს დაიწყო. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოში მოქმედი უმსხვილესი ენერგოკომპანიაა აბონენტების რაოდენობის, ელექტროენერჯის გაყიდვების და მომსახურების არეალის მოცულობის გათვალისწინებით, რომელიც ახორციელებს ელ. ენერჯის განაწილებას საკუთარი მომსახურების ტერიტორიაზე, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ ფლობს და ამუშავებს 15 მცირე და საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურს საერთო ჯამური სიმძლავრით 469,25 მგვტ.

კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს ინფორმაციის შეკრებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: კომპანიის ზომა, საქმიანობის ეკონომიკური სექტორი, განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა საქართველოში, ბიზნესის სამართლებრივი ფორმა. ხოლო, მეორე ნაწილში მოცემულია ძირითად საინვესტიციო ფაქტორები, რაც ჩვეულებრივ განსაზღვრავს ინვესტიციების განხორციელების ალბათობას. საგადასახადო პოლიტიკა დაყოფილია შემდეგ ვექტორებად: საგადასახადო

განაკვეთები, ამორტიზაციის ნორმები და საგადასახადო ადმინისტრირება. კვლევის ბოლო ნაწილში მოცემულია მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები.

დიაგრამა 3.1-ზე ასახულია EPG GROUP-ის მიერ განხორციელებული ინვესტიცია 2017-2018 წლებში. ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციები 213 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა #3.1 EPG GROUP-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციები 2017-2018 წწ (მლნ ლარი)



წყარო: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ შეიცავს დაუმთავრებელ მშენებლობებს

EPG GROUP-ის საინვესტიციო გეგმა ასახულია ცხრილ N3.2 -ში, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდა კომპანიის ფინანსურმა დეპარტამენტმა. როგორც მონაცემებიდან ვიგებთ EPG GROUP 2019 წელს 190 მლნ ლარის ინვესტირებას გეგმავს. აქედან 79.6 მლნ ლარი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ზე მოდის, 28.8 მლნ ლარი სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ზე, ხოლო 2.2 მლნ ლარი შპს „ჯიფაუერი“-ზე.


ცხრილი #3.2 EPG GROUP-ის საინვესტიციო გეგმა 2019 წ
ათასი ლარი

დისტრიბუცია	79,571
კახეთის გამრიცხველიანება/რეაბილიტაცია	3,568
ახალი მიერთება	14,085
6/10კვ საჰაერო ეგხ-ების რეაბილიტაცია	3,210
6/10 საკაბელო ეგხ-ების რეაბილიტაცია	1,263
6/10-0.4 ტრანსფორმატორების შეცვლა	3,550
დისტრიბუციის სხვა პროექტები	53,895
ენერგო-პრო გენერაცია	28,841
ჯიფაუერი	2,200
სულ	190,183

წყარო: სს „ენერგო პრო ჯორჯია“

რესპოდენტს ვთხოვეთ ათი ძირითადი საინვესტიციო ფაქტორი დაელაგებინათ პრიორიტეტების მიხედვით. საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს მიანიჭეს მეოთხე ადგილი მაკროეკონომიკური სტაბილურობის, საკუთრების უფლების დაცულობის და შრომის ბაზრის რეგულირების შემდეგ. მოცემულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოკითხვისას კონცენტრირება მოგვეხდინა საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორებზე, ეთგოს საინვესტიციო პოლიტიკის მოდელის მიხედვით.

დიაგრამა #3.2 საქართველოს საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორები



წყარო: კვლევის შედეგი

კომპანია უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგადასახადო ადმინისტრირების ფაქტორებს, ვიდრე ოფიციალურად არსებულ საგადასახადო განაკვეთებს. ეს შედეგი გარკვეულწილად შეესაბამება ეთგოს საინვესტიციო პოლიტიკის მოდელს, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო გარემოს შეფასებისას უფრო მეტი მნიშვნელობა ჩვეულებრივ ენიჭება პრაქტიკაში არსებულ საგადასახადო რეგულირებას, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს.

ცხრილი #3.3 ძირითადი საინვესტიციო ფაქტორები საქართველოში: ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები

ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები	ქულა
ბუნებრივი რესურსები	1
გეოგრაფიული მდებარეობა	2
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	3
საგადასახადო პოლიტიკა	4
ბაზრის ზომა	5

წყარო: კვლევის შედეგი

იმისთვის, რომ კლასიკური საინვესტიციო და ინსტიტუციური ფაქტორები შეგვედარებინა კითხვარში გამოყოფილი კითხვის სახით იყო მოცემული საგადასახადო პოლიტიკისა და კლასიკური საინვესტიციო ფაქტორების შედარება. ინვესტორმა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ბუნებრივი რესურსები დაასახელა, საგადასახადო პოლიტიკამ ხუთ ძირითად ფაქტორს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა.

საგადასახადო პოლიტიკის ასპექტებთან დაკავშირებული კითხვის შემთხვევაში ინვესტორისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საგადასახადო ადმინისტრირება და ამორტიზაციის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ნორმები, ვიდრე უშუალოდ კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთი.

დასმულ კითხვაზე თუ რა როლს ანიჭებენ საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს საქართველოს საინვესტიციო გარემოში გვიპასუხეს, რომ საგადასახადო პოლიტიკა არის დამატებითი ფაქტორი ისეთი ძირითადი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში როგორებიცაა: ბაზრის მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. საგადასახადო პოლიტიკა ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თამაშობს მხოლოდ შუალედურ და არა გადამწყვეტ მნიშვნელობას.

თეორიული მიდგომით, საზღვარგარეთ ინვესტირება ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეული რისკის ხარისხთან, ეს რისკი შედარებით მაღალია გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების შემთხვევებში. ამ რისკების ნაწილს შეადგენს საგადასახადო და ფისკალური რეგულირების რისკები. საგადასახადო რეგულირება ხშირად საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორია, რომელსაც აქვს უშუალო გავლენა საინვესტიციო პროექტების მომგებიანობაზე. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა აზრით, საგადასახადო შეღავათებს აქვს წონითი მნიშვნელობა უცხოელი ინვესტორებისათვის. ჩვენი კვლევის ფარგლებში დასმულ შეკითხვაზე თუ რამდენად შეუძლია ლიბერალურ საგადასახადო რეგულირებას გადაწონოს საინვესტიციო გარემოში არსებული სხვა საბაზისო ნაკლოვანებები, რესპოდენტმა გვიპასუხა რომ საგადასახადო ფაქტორებს ისინი განიხილავდნენ, როგორც დამატებით ფაქტორს საკუთრების უფლების დაცულობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდეგ. საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე მსხილმა კომპანიამ, რომელიც განხორციელებული ინვესტიციების მხრივ ათეულში ადგილს არ თმობს დაგვიდასტურა, რომ საგადასახადო პოლიტიკას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გარემოსთვის, როცა მას ვიხილავთ ინსტიტუციურ ფაქტორებთან ერთად, ხოლო, რაც შეეხება, საგადასახადო პოლიტიკის შედარებას ინვესტიციების ე.წ კლასიკურ ფაქტორებთან (ბაზარი, რესურსები გეოგრაფიული მდებარეობა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა) მისი მნიშვნელობა მცირდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკის საკითხებს აქვთ ზღვრული მნიშვნელობა ინვესტირების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ.

დასკვნა

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რომელიც ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას უწყობს ხელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, კერძოდ: საინვესტიციო გარემოზე მოქმედი სტაბილური მაკროეკონომიკური პარამეტრები, მოწესრიგებული საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურა, სათანადო გარემო ადამიანური კაპიტალისა და სამართლებრივი გარემოს თვალსაზრისით.

უცხოური ინვესტიციების მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა: განისაზღვროს, ეკონომიკის რომელ დარგში და რეგიონშია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მეტად საჭირო; ასევე, განისაზღვროს დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული.

ლიბერალური საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, თუმცა ფართო შეღავათების შეთავაზება, მაშინ, როდესაც საგადასახადო ფაქტორები ინვესტორებისთვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ეფექტიანი პოლიტიკა. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს გადასახადების გავლენა ინვესტორებზე და მხოლოდ ამის შემდეგ შერბილდეს საგადასახადო პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მხოლოდ ბიუჯეტის შემოსულობების შემცირებას.

ჩვენ მიერ სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ში ჩატარებულმა კვლევამ დაგვიდასტურა, რომ საგადასახადო პოლიტიკას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გარემოსთვის, როცა მას ვიხილავთ ინსტიტუციურ ფაქტორებთან ერთად, ხოლო, რაც შეეხება, საგადასახადო პოლიტიკის შედარებას ინვესტიციების ე.წ კლასიკურ ფაქტორებთან (ბაზარი, რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და მაკროეკონომიკული სტაბილურობა) მისი მნიშვნელობა მცირდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს

შემთხვევაში საგადასახადო პოლიტიკის საკითხებს აქვთ ზღვრული მნიშვნელობა ინვესტირების საბაზისო ფაქტორების განხილვის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის წინ გადადგმული ნაბიჯია, მოგების გადასახადის რეფორმა, ე.წ. ესტონური მოდელი, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოებში წარმოიქმნება არა მოგების მიღებისას, არამედ მისი დივიდენდის სახით გაცემის დროს ანუ იბეგრება განაწილებული მოგება. ესტონური მოდელი გრძელვადიან პერიოდში დადებითად იმოქმედებს საინვესტიციო გარემოზე. მსხვილ საწარმოებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე არიან ორიენტირებულები მეტი სტიმული ექნებათ არ გაინაწილონ მოგება და მოახდინონ რეინვესტირება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში, მიღებული შემოსავლები ქვეყნის შიგნით შენარჩუნდება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და გააუმჯობესებს მაკროეკონომიკურ გარემოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ, ამავდროულად, არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა. სახელმწიფოს მიერ გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს არამხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, არამედ შიდა ინვესტიციების ხელშეწყობასა და განვითარებაზეც. შიდა საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად და შესაბამისად, ადგილობრივი ინვესტიციების ზრდისთვის, საჭიროა წახალისდეს და ხელი შეეწყოს საფინანსო სამრეწველო ჯგუფების შექმნას, რაც გულისხმობს ქვეყნის შიგნით გარკვეული კაპიტალის მქონე ბიზნეს სუბიექტების გაერთიანებას ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების მიზნით. აღნიშნული მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რადგან ამ ფორმით, არამარტო ინვესტიციების წყარო იქმნება, არამედ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად მიღებული მოგების დიდი ნაწილი ქვეყანაში დარჩება.

ასევე, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კერძო ბიზნესი დაინტერესებული არ არის ისეთ დარგებში პროექტების განხორციელებით, რომლებსაც მაღალი მოგება არ მოაქვთ, თუმცა, ქვეყნისთვის შეიძლება ეს დარგი მნიშვნელოვანი იყოს. შესაბამისად,

სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი ხდება საინვესტიციო საქმიანობის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა და ინვესტორების სტიმულირება.

სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი წილად გადადგმული ნაბიჯია ვენჩერული საინვესტიციო პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“, რომელიც აფინანსებს დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას. ჩვენი აზრით, უფრო მეტად უნდა განვითარდეს საინვესტიციო პოლიტიკა ამ მიმართულებით, რათა გაიზარდოს ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე.ბარათაშვილი, დ.მაგრაქველიძე, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი, 2009;
2. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2005;
3. დ. სიხარულიძე, ვ. ჭარაია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2018;
4. ნ. ფუტყარაძე, საინვესტიციო მართვის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2013;
5. ლ.ქოქიაური, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008;
6. ლ. ქოქიაური, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008;
7. ლ. ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2007;
8. ლ. ქოქიაური, საინვესტიციო საქმე, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2010;
9. ლ. ქოქიაური, ინვესტიციური საქმიანობის პრობლემები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, გამომცემლობა თსუ, 1997;
10. ლ. ხურცია, საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში, თბილისი 2006;
11. თ. გამსახურდია, ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების საკითხები, „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“, შრომების კრებული, IV ტომი, თბილისი 1999, გვ. 309-317;
12. დ.სიხარულიძე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკა და ბიზნესი #6, გვ. 61-76, 2012;

13. დ. სიხარულიძე, უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში, დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2005;
14. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, თბილისი 1996;
15. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, თბილისი 2006;
16. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“, №5280–რს, თბილისი 2007;
17. საქართველოს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“, თბილისი 2011;
18. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 230, სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ, თბილისი 2011;
19. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება“, თბილისი 2014;
20. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში დებულება“, თბილისი 2017;
21. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი 2010;
22. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, თბილისი, 2011;
23. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, თბილისი 2018;
24. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“, №5280–რს, 2007;
25. საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ, 2007;
26. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2018;
27. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge ;
28. სს „საპარტნიორო ფონდი" - www.fund.ge;

29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge;
30. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge;
31. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - www.nplg.gov.ge ;
32. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ - www.enterprisegeorgia.gov.ge;
33. საქართველოს პარლამენტი - www.parliament.ge
34. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - www.economy.ge;
35. სტარტაპ საქართველო - startup.gov.ge;
36. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge/>;
37. Forbes.ge;
38. A.Blonigen, L.Oldenski, N. Sly, Separating the Opposing Effects of Bilateral Tax Treaties, NBER Working Paper 17480. National Bureau of Economic Research Inc, 2011;
39. S. Iamsiraroj, The foreign direct investment-economic growth nexus. International Review of Economics and Finance. Vol. 42: 116-133, 2016;
40. E. Quak, H. Timmis, Double Taxation Agreements and Developing Countries, Institute of Development Studies, 2018;
41. D. Sangeetha, Investment and its Role in Economic Development, International Journal of Science and Research (IJSR) ISSN (Online): 2319-7064, 2015;
42. European Trade Study Group, The effects of foreign direct investment on the host country economic growth- theory and empirical evidence – www.etsg.org/ETSG2009/papers/forte.pdf;
43. Doing Business in Georgia - www.doingbusiness.org;
44. Роль инвестиций в экономике - <http://banknt.ru/?id=346>;
45. Инвестиции в человеческий капита- важнейший фактор экономического роста http://www.inspp.ru/index.php?option=com_content&task=view&id=54&Itemid=33;
46. <http://homepage.newschool.edu/het/>.